833
1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE“

PRIX: 50 F. MENSUEL

N° 11 | მარტი — 1953 — MARS | N° 11

# საზავო ჯვაროსნობა

სამხედრო მზადება უახლოვდება კრიტიკულ წერტილს. საზღაპრო სიმდიდრე იფლანგება დღეს გამანადგურებელი საშუალებების გამოგონებასა - დამზადებაში. ვინც იარაღს ამზადებს იძულებული გახდება ის მოიხმაროს — ამბობს ლათინური სიბრძნე. ადამიანთა საქმიანობა და ნებისყოფა თავისუფალია იმდენად, რამდენადაც ის საზოგადოების იმანენტური კანონების ხაზზე მიიმართება. განვითარების განსაზღვრულ დონეზე ის ემორჩილება სოციალ-პოლიტიკური დეტერმინიზმის წესებს. ომის შიში აიძულებს კაცობრიობას მისთვის ემზადოს, შექმნას ძალა, რომ მისი მოხმარა არ დასჭირდეს. მაგრამ საეჭვოა, რომ ამ გზით აშენებული მოვლენები მან საბოლოოდ დაიმორჩილოს და კატასტროფა თავიდან აიცილოს.

საბჭოთა პროპაგანდა სწორედ ამ ნიადაგზე პოხიერდება. მრავალი უნაყოფო ცდების მიუხედავად, დემოკრატიული მსოფლიო მაინც რაღაც იმედის საფუძვლებს ეძებდა საბჭოთა რუსეთის მორიგ საზავო ლოზუნგებში. პატარა მშვიდობიანი ავსტრიის საზავო მოლაპარაკების მოკავშირეებმა, ბოლშევიკური რუსეთის წყალობით, მოასწრეს 260 სხდომა სრულიად უნაყოფოთ. ომის დამთავრების 9 წლის თავზე ეს უდანაშაულო ქვეყანა კიდევ განიცდის 4 დიდი სახელმწიფოს ოკუპაციას.

ამდენი უსამართლობით და უწესობით გაღიზიანებული კაცობრიობა ვინ იცის რა ხიფათის წააწყდება! ომი მზადდება ფსიქოლოგიურად, პოლიტიკურად, მატერიალურად. მის მოლოდინში ნადგურდება ადამიანთა კეთილდღეობისათვის დაგროვილი სიმდიდრე.

- ეს კარგათ ესმით მათ, ვინც ყველაფერი ჰქნეს მსოფლიო წყლის ასამღვრევად. საბჭოთა დიპლომატია და პოლიტიკა მიადგა ჩიხს, საიდანაც გამოსავალი არა სჩანს. აღმოჩნდა, რომ საფრთხის სერიოზულობა აღემატება მათ სამხედრო სიძლიერეს და მომზადებას. ამიტომ სტალინის სიკვდილი ცის მანანასავით მოეპკურა მათ შინაგან და საგარეო უსუსურობას. როგორც მთელი აურ-ზაურის ავტორს, მისთვის გამორიცხული იყო უკან დახევის შესაძლებლობა, რადგან ავტოკრატის უკან დახევა, მის გაქრობას მოასწავებს. მემკვიდრეებმა დაუყონებლივ ისარგებლეს ამ ბედნიერი შემთხვევით. მთელი მათი საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ შექმნილ მდგომარეობის პასუხისმგებლობა მკვდარ დიქტატორს გადააყარონ თავზე და აიცილონ მოახლოვებული რისხვა.

ცდება და ცდება ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა იმპერიის გაფართოებამ თითქოს მისი სიძლიერის საფუძვლები გაამაგრა. სატელიტები ის აქილევსის ქუსლია, რომელმაც უნდა დასცეს ეს მოჩვენებითი სიძლიერე.

თანამედროვე საშუალებების პატრონ სახელმწიფოს, უფლებააყრილი მოსახლეობა, რასაკვირველია, ვერას დააკლებს, მაგრამ საგარეო გართულება ის იმპულსია, რომელიც ფრთებს შეასხამს მიყუჩებულ შინაგან ძალებს. თუ აქამდე, ამ ძალების დაბმა-დამორჩილება შესძლო ჩვენი დროის ჩინგის-ხანის ავტორიტეტმა, დღეს მისი შემცვლელი არავინაა. შეშინებული და უპატრონოთ დარჩენილი დიქტატორები უბრუნდებიან ლენინის სტრატეგიას. მათ დიდი ამბით აცნობეს კაცობრიობას ორი მოპირდაპირე სისტემის თანაარსებობის შესაძლებლობა. ეს ბულბულის ხმაზე აჭიკჭიკება არ ახალია ძვე-

ბიბლიოთეკა
LIBRARY

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, მაგრამ ფაქტები და ბოლშევიკური საქმიანობა სულ საწინააღმდეგოს მაჩვენებელია. თვითონ ბოლშევიკებს არა სწამთ მათი „სამოთხის" ერთ ქვეყანაში, თუ მსოფლიოს ერთ ნაწილზე, დამყარების შესაძლებლობა. ბოლშევიზმი იყო და რჩება საექსპორტო საქონელი. მისი დინამიურობა მისი პათოლოგიური ბუნების ნაყოფია. ამიტომ, ბოლშევიკებს არც უცდიათ და არც ოდესმე ეცდებიან მსოფლიო დომინაციაზე აიღონ ხელი. თუ ომის წინ ეს ბუნებრივი აგრესივობა ოსტატურად ამეტყველებული პროპაგანდის უკან იმალებოდა, დღეს ნიღაბი მეტად გამჭვირვალე გახდა. იმდენად გამჭვირვალე, რომ არავის მსოფლიოში არც უფლება აქვს და არც სურვილი ტრაგიკულ სინამდვილეს თვალი არ გაუსწოროს.

მალენკოვის ანგარიში — დროის მოგებისა — ყალბ პოსტულატზეა აგებული. შეუძლებელია ცარიელი დაპირებებით ბოლშევიკებმა შინაურ თუ საგარეო კონსოლიდაციას მიაღწიონ. წავიდა დრო, როცა ტირანები პროპაგანდა-დემაგოგიით ადვილად გამოდიოდენ. მშვიდობიანობის სურვილი ხელსახები ფაქტებით უნდა დადასტურდეს.

ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პროგრამული სიტყვა პრესის წარმომადგენელთა მიმართ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მის მიერ განვითარებული იდეებით, არამედ იმ ფაქტითაც, რომ მისი სახით დემოკრატიამ ჩაიბარა ნამდვილი დაზავების ინიციატივა. დამთავრდა სტალინისტური დემაგოგიის მომაბეზრებელი ეპოქა და დაიწყო დემოკრატიის საზავო შეტევების პერიოდი. მდგომარეობაც ისეთია, რომ ამ ინიციატივას ის ხელიდან ვერ გაუშვებს. სიტყვების და ლანძღვა-გინების კორიანტელი მოსკოვს ნიღაბივით კვლავ არ გამოადგება.

პრეზიდენტი აიზენჰაუერი გარკვევით აყენებს ორი ბლოკის მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებელ პირობებს: ზავი კორეაში, მაგრამ არა აგრესიის სხვა პუნქტზე გადასატანად (ინდოჩინეთი, მალეზია), საზავო ხელშეკრულება ავსტრიასთან და მისი დაუყონებლივი ევაკუაცია, გერმანიის გაერთიანება თავისუფალი არჩევნების საფუძვლებზე, სატელიტების უფლება თვითონ განაგონ თავიანთი ბედი. ეს არის ის პირობები, რომელმაც უნდა აღადგინოს საერთაშორისო ნდობა არსებითი და ნამდვილი განიარაღების მისაღწევად. პრეზიდენტი კაცობრიობას ჰპირდება ამ გზით გადარჩენილი ასტრონომიური თანხა მოახმაროს საკაცობრიო კეთილ-მოწყობას და ბედნიერებას. მართალია, აიზენჰაუერის წინადადებას არა აქვს ულტიმატუმის ხასიათი. იგი მოლაპარაკების და ვაჭრობის საგნათ გახდება, მაგრამ დემოკრატიის საზავო პოზიცია მოცემულია.

როგორც ვხედავთ, ბოლშევიკური ბლეფი გაება მახეში.. გარკვეულად წამოყენებულ კითხვებს გარკვეული პასუხი უნდა გაეცეს. ამ პირობების პირწმინდათ უკუგდება არც ისე ადვილი საქმე იქნება, რადგან მაშინ მათი უკანაზრახვები ყველასათვის აშკარა გახდება და საამისო მდგომარეობა დღეს მათ არა აქვთ. მათი მიღებით კი ისინი იძულებული ხდებიან შეურიგდენ ტირანიის ლიკვიდაციის პერსპექტივებს. შეუძლებელია, გარედ ზავი დაამყარო და შიგნით ტერორით ითარეშო. გარდა ამისა, გერმანიის და სატელიტების განთავისუფლება ნიშნავს უკან-დახევას, პოლიტიკურ სილას, რომლის შედეგი ადვილი წარმოსადგენია. ისტორიას არ ახსოვს ტირანიის უკან დახევის ასეთი მაგალითი. ყოველგვარ სუფთა იდეალს მოკლებული ბოლშევიკური ბიუროკრატია იმდენად კარგად გრძნობს თავს ვეებერთელა ქვეყნის სათავეში, იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი ხალხის და კაცობრიობის წინაშე, რომ შეუძლებელია მან თავის თავს ჰარა-კირი მოუხდინოს. მაგრამ აუცილებელია ერთი: ვინც ანი სთქვა, ბანიც უნდა მოაყოლოს. ილუზიების ხანა დამთავრებულია. ამას გრძნობენ ნიადაგ შერყეული კომუნისტები.

დასავლეთის საზავო პროგრამას მოსკოვი არაჩვეულებრივი სისწრაფით გამოეხმაურა. საბჭოთა პრესამ იგი მეორე დღესვე გამოაქვეყნა ჩვეულებრივი ლანძღვა-გინების გარეშე, ხოლო ჩიხიდან თავის დასაღწევი გზების ძიებას ათი დღე მოანდომეს. ისინი არწმუნებენ თავისუფალ კაცობრიობას, რომ დაზავების პირობები მომწიფებულია და არავის უფლება არა აქვს მომენტით არ ისარგებლოს. მოლაპარაკების კარები ღიაა, მაგრამ მავნეა და სახიფათო საამისოდ წინასწარი პირობების წამოყენება, რადგან მათი გაგებით ეს მუქარას უდრის. როგორც ვხედავთ საბჭოებმა პოზიტიური საზავო მოლაპარაკების პირობები მიუღებლად ჩასთვალეს. მათ ხელს არ უწყობს გარკვეულ საკითხებზე გარკვეული პასუხის გაცემა იმ იმედით, რომ მოლაპარაკება დაუსრულებელ ხასიათს მიიღებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვას თუ არაფერს, დროს მაინც მოიგებენ: და დღეს დღეობით ეს მათ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს. თავისუფალ კაცობრიობაზედ დამოკიდებული მოსკოვის განზრახვების გამომზეურება.

შეუძლებელია პრეზიდენტის საზავო ინიციატივის შედეგების სრული გათვალისწინება, მაგრამ ერთი კი აშკარად შეიძლება ითქვას: მოსკოვს ენერგიულად აღკვეთილი აქვს ორჭოფულ პოზიციაზე განცხრომით შეჩერება და სამართლიანობის გრძნობაზე თამაში.

ატლანტიკის საბჭოს სესიამ საბჭოთა „პაციფიზმის“ უკანასკნელი ჟესტები ტაქტიკის გამოცვლად ჩასთვალა და ერთხმად დაადგინა: გააძლიერონ თავისუფალ ქვეყნების შეიარაღების ღონისძიებანი. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ბიდო თავის მნიშვნელოვან სიტყვაში აცხადებდა: ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია თანაარსებობა ლოიალური, თანასწორობის ნიადაგზე აგებული, და არა თანაარსებობა მეცხოვრის და ტუსაღის, ცხენისა და მხედრის ან მონადირისა და ნადირის. ეს პერიოდი დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

დემოკრატიამ ყველა საშუალება ამოსწურა, რომ კაცობრიობა ჩიხში არ მომხდარიყო. მასზე არ დარჩა დამოკიდებული მშვიდობიანობის საფუძვლების გამაგრება. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ერთად-ერთი გზა საზავო აგრესიულობის ენერგიული გაგრძელებაა. ზავის და ადამიანთა უფლებების მტერს უნდა აღეკვეთოს ნიღაბ-აფარებული თარეში. ტირანიის მოშინაურება, უდაოდ, ძნელი საქმეა. მას მოჭრილი აქვს უკან დახევის გზები. ერთხელ შელახული მისი ავტორიტეტი ბუნებრივად აამოძრავებს დაჩაგრულ ხალხთა ანტაგონისტურ ძალებს. ასეა თუ ისე დიქტატურის არსებობა საფრთხეშია.

თავისი ისტორიული გამოსვლით პრეზიდენტი სათავეში ჩაუდგა დემოკრატიის საზავო ჯვაროსნობას. მის მხარეზეა თავისუფალი კაცობრიობა სიტყვით, საქმით, მთელი თავისი ძალით და შესაძლებლობით. მის მხარეზეა ძალადობის წინააღმდეგ ამხედრებული საზოგადოებრივი აზრი; იმედის ცეცხლით ინთებიან დაპყრობილი და დაჩაგრული ერები.

თავისი უკომპრომისო საზავო შეტევებით, დემოკრატიას შემთხვევა აქვს ბოლშევიკურ რეაქციას ნიღაბი გამოაცალოს. მისი ვალია ეს მომენტი მაქსიმალურად გამოიყენოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოს მოსვენება არ უწერია.

## მ ო რ ი გ ი კ ი თ ხ ვ ა

გასულ მარტს დიდი ამბები დატრიალდა საბჭოთა კავშირში და არცაა მოსალოდნელი, რომ ისინი ადვილად და ჩქარა დამთავრდებიან.

იყო ერთი დიქტატორი - ბრძანებელი და მას ემორჩილებოდა მსოფლიოს მეხუთედი, თუ მის გავლენას შორეულ აზიაშიც არ მივათვლით. ხოლო ეს ნახევრად გაღმერთებული ბრძანებელი გაჰქრა და მის ადგილას საბჭოთა კავშირს, ისე როგორც სატელიტებს, თავს მოაჯდა ხუთი ბრძანებელი.

„პრავდა“ უკვე ერთგულად იცავს მათ.

საჭირო არაა მათი ჩამოთვლა, აღსანიშნავია მხოლოდ ერთის გვარი — **მალენკოვი.** რაღა მაინც და მაინც ასეთი გვარი, განა ისედაც არ ვიცოდით, რომ „დიდს პატარა“ მოყვება? და ეს არის სწორედ ღირსშესანიშნავი, პატარას სხვა ოთხი პატარანი გვერდს ამოუდგნენ და ცოტა ადრე გვიჩვენეს მათი სუსტი მხარე.

მართალია, მათ უკვე გამოაქვეყნეს ქურდ-ბაცაცების ამნისტია, ლამობენ ზავის ჩამოგდებას კორეაში, გერმანიას პირდებიან გაერთიანებას და რაც მთავარია, 15 ექიმი, მათ შორის 9 ებრაელი, რომელნიც აიძულეს, „საბჭოთა კანონების წინააღმდეგ“, გამოტეხილიყვნენ ჟდანოვის და სხვების მოწამვლაში, გაანთავისუფლეს.

ისიც მართალია, რომ ეს არ შველის ჩეხოსლოვაკიაში სახრჩობელაზე ჩამოკიდებულ სლანსკის და სხვებს. პალესტინის მთავრობას-კი მაინც ეძლევა იმედი დიპლომატიური დამოკიდებულება აღადგინოს მოსკოვთან.

მაგრამ იმედი მარტო პალესტინით როდი ამოიწურება, იგი ფეხს იკიდებს სხვა თავისუფალ სახელმწიფოებშიც ევროპა თუ ამერიკაში. შეერთებული შტატების შუათანა მოქალაქეზე, მაგალითად, ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია პატარა დიქტატორების ყმედობის, რომ პრეზიდენტი აიზენჰაუერი იძულებული გახდა დიდი სიტყვით გამოსულიყო პასუხისმგებელი რედაქტორების წინაშე.

ჩვენ მზათა ვართ — ამბობს პრეზიდენტი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნიზმ-კაპიტალიზმის თანა-არსებობაზე" ვიმსჯელოთ, თუ კრემლი მოისურვებს კორეასა და ინდოჩინეთში ომის შეჩერებას და პირველის გაერთიანებას; თუ თანახმაა ნაწილობრივ განიარაღებაზე პირუთვნელი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ; თუ გერმანიის გაერთიანებაშიც დაგვეთანხმება თავისუფალი არჩევნების საფუძველზე, ისე როგორც სატელიტების მართვა-გამგეობის მოწყობაში თანახმად მათი ნებისა-სურვილისა...

ეიზენჰაუერი იმასაც კი პირდება კრემლს, რომ სამხედრო სამზადისის შემცირების გამო გადარჩენილი თანხებს შეერთებული შტატები მოახმარს სხვა სახელმწიფოების, მათ შორის, **საბჭოთა კავშირის,** საარსებო ხარჯების დაფარვას...

ასე შორს წასვლა ბევრს გაუკვირდება, ვისაც ამდენი „თუ-თუ" უყურადღებოდ დარჩება. მაგალითად, ვიშინსკიმ უკვე გასცა პასუხი ეიზენჰაუერს განიარაღებაზე გ. ე. ო-ში (გაერთიანებული ერთა ორგანიზაცია): კომუნისტები ვერ დაუშვებენ — განაცხადა მან — საბჭოთა კავშირის თუ სატელიტების **უზენაესობის შელახვას** საერთაშორისო კონტროლით! პრეზიდენტს ისიც მოხსენდა, ცხადია, რომ კომუნისტები უკვე შეესივნენ ინდოჩინეთის უმცროს სამეფოს — ლაოსს.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტის დიდად საყურადღებო სიტყვა ფსიქოლოგიური ანუ ცივი ომის გაძლიერებას მოასწავებს. და ეს მით უფრო, რომ მას გაცილებით მეტი, ჩვენთვის მიუწდომელი ცნობები უნდა ჰქონდეს, თუ რა ხდება და რა მოსალოდნელი საბჭოთა საბრძანებელში.

მაშასადამე, ეს სიტყვები ერთგვარ მიწოდებად უნდა ჩაითვალოს დაბეჩავებული რუს და არარუს ერებისადმი, რათა შეაგულიანოს ისინი ბორკილების დამსხვრევისათვის.

უდაოა, საბჭოთა სამეფოში ყველაფერი თავის რიგზე არაა, ამით აიხსნება ხუთ-თავიანი დიქტატურის ჭაპან-წყვეტა, რეციდივები; რღვევის პროცესი იწყება...

და ჩვენ უცხოეთში რას ვშვრებით ამ დროს? ერთმანეთს ვებრძვით, ვედავებით!

ეს არ ვარგა, მავნეა. მთავარი კითხვა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, არის ჩვენი ემიგრაციის გამთლიანება თავისუფალ ევროპა-ამერიკაში.

ბუნებრივია პარტიული დაჯგუფება უცხოეთშიც, ისე როგორც ამას ადგილი ჰქონდა დამოუკიდებლობის დროს; ქართველი ერი საკმაოდ მომწიფებული იყო ევროპიულად მოეწყო თავისი ცხოვრება.

მაგრამ არიან უპარტიონიც განურჩევლად ხნოვანობისა და სქესის, რომელნიც მზად არიან ემსახურონ თავის სამშობლოს, და ამიტომ ამათაც უნდა გაეწიოს ანგარიში.

რაღა გავაგრძელოთ, საქართველო ერთია და ჩვენც მისი შვილნი **ერთნი** უნდა ვიყოთ **იქ და აქაც.**

ვისაც არ სჯერა, საკმარისია დააკვირდეს თბილისის რადიოს-მიერ გადმოცემულ ამბავს კიდევ გუშინ: გადავაყენეთ და დავატუსაღეთ „სოციალისტური" მთავრობის და პარტიის მეთაურნი" ყალბი ცნობების გავრცელებისთვის ვითომ „ნაციონალისტურმა" მოძრაობამ იჩინა თავი და მათ მაგიერ სხვები დავაყენეთო.

ხაზგასასმელია, როგორ ელვისავით მოედო ეს ცნობა, შეიძლება ითქვას, მთელს მსოფლიოს! არის ვინმესთვის საეჭვო, რა ადგილი უჭირავს ჩვენს სამშობლოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში?

ჩვენი ვალია გავიხსენოთ რისთვის ვართ გადმოხვეწილნი და ვაკეთოთ ის ცოტა, რაც ჩვენს ძალას შესწევს, და მით პირნათლად წარვსდგეთ ჩვენი ერის წინაშე. ეს დროც არაა შორს...

**ანჩინ.**

---

## დიქტატორის სიკვდილის შემდეგ

სტალინის სიკვდილის შემდეგ — ის ჯერ კიდევ დასაფლავებული არ იყო — საჩქაროდ შესდგა საბჭოთა მთავრობა და დიქტატორ-ტირანის წინაშე უკანასკნელად წარსდგა.

აქ წარმოსთქმული მალენკოვ-ბერია-მოლოტოვის სიტყვების შინაარსი თითქმის ერთი და იგივეა. სამივენი აცხადებენ, რომ სტალინის პოლიტიკა გრძელდება. მათ სიტყვებში ხაზგასმულია შესაძლებლობა მშვიდობიანი თანაარსებობისა კომუნისტური და არა კომუნისტური ქვეყნებისა. ამავე დროს კი ისინი მოუწოდებენ საბჭოთა სამხედრო ძალებს გამაგრებისა და გაძლიერებისაკენ. მალენკოვი და ბერია პანიკის და უდისციპლინობის წინააღმდეგ გაფრთხილებას იძლევიან, შინაგან და გარეშე მტრების წინაშე სიფრთხილეს მოითხოვენ და დამსჯელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიციური ორგანოების არსებობაზე მიუთითებენ. მათ არ დავიწყებიათ არც ეროვნული პრობლემა, რომელიც თურმე „გენიალურად“ ყოფილა გადაჭრილი და მოგვარებული სტალინის მიერ. ბერიას უნდა რუსეთის შინაური პოლიტიკა დაამყაროს საბჭოთა მრავალრიცხოვან რესპუბლიკებთა შორის **დაურღვეველ კავშირზე.**

სტალინის დასაფლავების ერთი კვირის შემდეგ მალენკოვმა დეკლარაციით მიმართა საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს. ის დაწვრილებით შეეხო საბჭოთა რუსეთის სხვადასხვა ქვეყნებთან დამოკიდებულებას და განაცხადა, რომ მოსკოვის მთავრობა მომხრეა თანამშრომლობის და საქმიანი დამოკიდებულების ყველა ქვეყნებთან; არც ეხლა, არც მომავალში არ არსებობს ისეთი საკითხი, რომლის მოგვარება მშვიდობიანი გზით არ შეიძლებოდეს და ყველა ქვეყნები, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიც, დარწმუნებული უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ზავის მტკიცე პოლიტიკაში. მან აგრეთვე გადმოისროლა დებულება, ვითომც საბჭოების ზავის პოლიტიკა იყოს დამყარებული ყველა ქვეყნების, დიდის თუ პატარისა, უფლებების პატივისცემაზე, საერთაშორისო ნორმების ალიარებაზე და მტკიცედ ცნობაზე ყველა იმ ხელშეკრულებათა, რომელიც საბჭოთა კავშირს დადებული აქვს სხვადასხვა სახელმწიფოებთან. საყურადღებოა, რომ მალენკოვის დეკლარაციაში აღარ არის ჩვეულებრივი ბოლშევიკური ლანძღვა-გინება სხვა ქვეყნების და მათი წარმომადგენლებისა.

საერთოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრეების სიტყვები და განცხადებანი ახდენენ შთაბეჭდილებას, რომ საბჭოთა რუსეთის დღევანდელი მმართველი წრეები განიცდიან ერთნაირ დაბნეულობას, არ იციან, თუ რა იქნება ხვალ და რა მოელის მათ. ეს სავსებით გასაგებია: დიდად დახელოვნებული პროპაგანდის საშუალებით ოლიმპზე აყვანილი, თითქმის გაღმერთებული, უცდომელი კერპი წაიქცა. სტალინი ყველას ბრძანებას აძლევდა, მისი ყველას ეშინოდა. უმისოდ არაფერი კეთდებოდა. ყველანი სტალინის თავით აზროვნებდნენ. კომუნისტური ლაშქარი, როგორც საბჭოთა რუსეთში, ისე სხვა ქვეყნებში უთავოთ დარჩა. მათ შორის ავტორიტეტის მქონე და დიდად გავლენიანი პიროვნება აღარ არსებობს. ეს იწვევს მათ შორის შიშს და გაურკვევლობას.

საიდგან მოელიან კრემლის მესვეურნი დღეს საშიშროებას?

პირველ-ყოვლისა შიგნიდან. აკი მალენკოვი და ბერია მათ სიტყვებში, თუ განცხადებებში ხშირად ლაპარაკობენ „შინაური მტრების“ წინაშე სიფხიზლეზე და, განსაკუთრებით, ცდილობენ დაარწმუნონ საბჭოთა ციხეში მომწყვდეული არა რუსი ერები, რომ ეროვნული პრობლემა სტალინის მიერ „გენიალურად“ გადაწყვეტილია. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტიც ძალზე შეწუხებულია, ის მოუწოდებს მათ თავიშეიკავონ „პანიკის და უწესრიგობისაგან“.

არა ნაკლებ ეშინიათ მათ გარედანაც. საბჭოთა კავშირის სატელიტ ქვეყნებში ეკონომიური ცხოვრება უკან მიდის და ხალხთა გასაჭირი დღითიდღე მატულობს, კრემლის ბატონობა და რუსიფიკაცია ყოველგან იქ მწვავე ხასიათს იღებს და ნერვები მეტად დაჭიმულია. მოსკოვს ისიც აფიქრებს, ეგებ ჩინეთის კომუნისტებმა და მათმა ლიდერმა მალენკოვის ავტორიტეტი არ იცნონ და მათი საკუთარი გზით სიარული დაიწყონ. ამავე დროს კი საბჭოთა რუსეთს უპირდაპირდება ეკონომიურად და მილიტარულად მსოფლიოში უძლიერესი ამერიკა.

რა არის ამის შემდეგ გასაკვირი, თუ კრემლის დღევანდელი მესვეურნი საბჭოთა მთავრობის ზავის პოლიტიკაზე, სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობაზე და კომუნისტური და არაკომუნისტური სისტემის თანაარსებობის შესაძლებლობაზე ასე ბევრს ლაპარაკობენ?

გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ ამერიკის ზოგ წრეებში და, განსაკუთრებით, ინგლისში მალენკოვ-ბერია-მოლოტოვის სიტყვებმა საბჭოთა მთავრობის ზავის პოლიტიკის შესახებ ერთნაირი ოპტიმიზმი და ილუზიები გამოიწვია. ზოგმა მართლა დაიჯერა, რომ საბჭოთა მთავრობასთან შესაძლებელია ნორმალური ურთიერთობის დამყარება და კომუნისტური და არაკომუნისტური სისტემის ერთი-მეორის გვერდით დიდხანს მშვიდობიანი არსებობა.

ამ 30 წლის განმავლობაში რამდენი რამ დაწერილა და თქმულა მოსკოვის მთავრობის სტრატეგიის, ტაქტიკის და მანევრების შესახებ, რამდენჯერ ფაქტებით დამტკიცებულია, რომ ბოლშევიკების სიტყვას და დაპირებას არ აქვს არავითარი წონა და ფასი, მაგრამ არ იქნა, უცხოელებმა დღემდე ვერ გაიგეს ბოლშევიზ-

მის ნამდვილი შინაარსი და კომუნისტების ბრძოლის მეთოდები.

მალენკოვ - ბერია - მოლოტოვი მათ სიტყვებში გარკვეულად ხაზს უსვამს იმას, რომ ისინი აგრძელებენ ლენინ - სტალინის გზას და იღწვიან დიქტატურის საშუალებით კომუნიზმის დასამყარებლად. ეს მათი მიზანი და სტრატეგია რჩება უცვლელი. იცვლება მხოლოდ მეთოდი მათი ბრძოლისა. ეხლა ისინი ერიდებიან პირდაპირ დატაკებას და კონფლიკტს მათ მოწინააღმდეგეებთან. დროებით უკან იხევენ და არაკომუნისტურ სახელმწიფოებთან ზავის, თანამშრომლობის და თანაარსებობის შესაძლებლობაზე ამდენს ლაპარაკობენ.

კომუნისტები ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება, რომ, ვითომც, მათ მართლა სურდეთ მუდმივი საერთაშორისო მშვიდობიანობა და არ ემზადებოდენ სხვებზე თავდასასხმელად. მათ მიერ ასეთი ილიუზიების შექმნა, მათი აზრით, შეანელებდა ევროპის და ამერიკის თავდასაცავად სამხედრო მზადებას, არეულობას შეიტანდა ატლანტიკის პაქტის ხელმომწერეთა შორის და საგრძნობლად ხელს შეუშლიდა ბონის და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციას.

მოსკოვს უნდა მოადუნოს დასავლეთის სიფრთხილე აგრესორის წინაშე და ხელი შეუშალოს მის სამხედრო გაძლიერებას, თვითონ კი თავიდან - ფეხებამდე იარაღდება, რათა მისი მოწინააღმდეგე შემდეგში სწრაფად და ადვილად გადაყლაპოს.

თუ ეს ასე არ არის და კრემლს მართლა მუდმივი ზავი და ერთა შორის მშვიდობიანობის დამყარება აინტერესებს, ამის დასამტკიცებლად ბევრი საშუალება არსებობს. ეს შეუძლია მან ჩვენ დაგვიმტკიცოს, მაგალითად, კორეაში, ინდოჩინეთში და სხვაგან, ყოველგან საომარი მოქმედების შეწყვეტით და დამთავრებით. მალენკოვი გვეუბნება, ვითომც, მოსკოვი ცნობდეს ყველა ერების, დიდის და პატარისა, უფლებებს და მათთან დადებულ ყველა ხელშეკრულებებს პატივსცემდეს. ამიტომაც შეუძლია მოსკოვს დაგვარწმუნოს, თუ ის მართლა კი ცნობს ატლანტიკის და ერთა კავშირის ჰარტიებს და მისი ბატონობისაგან განათავისუფლებს მის მიერ ჩაგრულ ერებს. მან არ უნდა დაივიწყოს ის ხელშეკრულებაც, რომელიც მას საქართველოსთან აქვს დადებული. მაგრამ სანამ საბჭოთა რუსეთში დიქტატურა და ტირანია არსებობს, მალენკოვის მთელი ეს მასლაათი უბრალო თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი.

სწორია ერთი: მოსკოვს დღეს მართლაც უნდა **დროებითი** ზავი და მყუდრო ცხოვრება. ეს მისთვის დიდად საჭირო რამეა. მან უნდა გამოაკეთოს შინ, თუ გარეთ — მის სატელიტ ქვეყნებში — არსებული ცუდი მდგომარეობა. სული მოითქვას, მომაგრდეს, რომ მოღონიერებულმა და უფრო ძლიერმა, ხელახლად მისი მტაცებლური პოლიტიკა განაგრძოს, ერთი ნაბიჯით ეხლა უკან დაიხიოს, რომ შემდეგში ორი ნაბიჯით წინ წაიწიოს. მოსკოვს ასეთი ფარისევლური ტაქტიკა წარსულში არა ერთხელ უწარმოებია.

საბჭოთა რუსეთს მართველად ევლინება დღეს არა ერთი პირი, როგორც ეს წინეთ იყო, არამედ კოლექტივი მთავრობის პრეზიდიუმის სახით, ხუთი კაცისაგან შემდგარი დირექტორია.

დიქტატორი - ტირანი აღარ არის, მაგრამ დიქტატურა გრძელდება და ამ დიქტატურის წარმოებას ფიქრობს კოლექტივი. ეს კი შეუძლებელია. დიქტატორის გაქრობას უნდა მოყვეს თვით დიქტატურის გაქრობაც, ან არსებული დიქტატურის საწარმოებლად უნდა მოგვევლინოს ახალი პირი. ასეთია დიქტატურის ლოგიკა.

დირექტორიაში მყოფ ხუთ პირის შორის დიდი პრესტიჟის და ავტორიტეტის მქონე შინ, თუ გარეთ არავინ ითვლება. ყველა ისინი — მალენკოვი, ბერია, მოლოტოვი, ბულგანინი და კაგანოვიჩი სტალინის უსიტყვო მონა - მორჩილნი იყვნენ და მათი ხელმძღვანელობა სახელმწიფოებრივი მასშტაბით არავის უნახავს და გაუგონია.

მოლოტოვს დიდი ხნის განმავლობაში სწყალობდა სტალინი და მას თავიდან არ იშორებდა. ბოლშევიკების ძველი გვარდიიდან რამოდენიმე პირთან ერთად ფიზიკურად განადგურებას ის ძლივს გადაურჩა. მის პარტიულ რიგებში ის ყოველთვის ითვლებოდა უხერხემლო ადამიანად და ის დიქტატორის როლში ვერ გამოდგებოდა.

კაგანოვიჩმა ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს, რომ საბჭოთა რუსეთში აბობოქრებული ანტისემიტური ტალღების მიერ მთანთქმას გადაურჩა და დროებით დირექტორიას თავი შეაფარა.

მალენკოვი მთავრობის თავმჯდომარეა, მაგრამ სინამდვილეში მისი მდგომარეობა ვერ არის მკვიდრი. მალენკოვი აღარ არის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, რომლის პოსტი ეჭირა სტალინს და რომლის საშუალებით ამ უკანასკნელმა მ თ ე ლ ი ძალა - უფლება ხელთ იგდო. დღეს ამ პოსტზე მყოფი ხრუშჩევ-

ვიც რომ მალენკოვის კაცი გამოდგეს, ესეც მას დიდად ვერაფერს უშველის, რადგანაც ძალთა დისლოკაცია უკვე მოხდენილია და მალენკოვის უკან არავითარი რეალური ძალა არ არსებობს. რეალური ძალა, რომელზედაც შეუძლია დაეყრდნოს დიქტატორს საბჭოთა რუსეთში, არის პოლიცია და წითელი ჯარი. პირველს მეთაურობს ბერია, მეორეს კი ბულგანინი. შეიძლება ბერია უფრო გამოქნილი ჩეკისტი და პოლიციელი იყოს, ვიდრე სამხედრო მინისტრი ბულგანინი, მაგრამ ისიც იმავე ტიპის პატარა კაცია, როგორიც მალენკოვი და დირექტორიის სხვა წევრები. და სწორედ ამ პატარა ხალხთა შორის მოსალოდნელია გაიმართოს დოლი, რათა ერთიმეორეს წინ წაასწრონ და „დიდი კაცი“ გახდენ.

ბერია აჯობებს ბულგანინს, თუ ბულგანინი, ან ვასილევსკი - ჟუკოვი ბერიას, ეს ძალთა განწყობილების საკითხია. არ არის შეუძლებელი, რომ ავანტიურის ასპარეზზე გამოვიდეს სულ ახალი, ჯერ კიდევ ფარული არაცნობილი პირი. მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა თვით საბჭოთა რუსეთში და მის გარეთ ისეთია, რომ, თუ ევროპის ქვეყნები და ამერიკა არ განიმეორებენ წარსულში მათი მიერ ჩადენილ დიდ შეცდომებს რუსეთის მიმართ და არ მიეცემიან მავნე ილიუზიებს, სტალინის მემკვიდრეთა ყოველგვარი ცდები დიქტატურის დასამაგრებლად უნაყოფო დარჩება და ეს დიქტატურაც აუცილებლივ დაემხობა.

კ. გვარჯალაძე.

## დეკანოზ რ. ინგილოს საკვირაო საუბარი სტალინის სიკვდილის გამო *)

(თარგმანი ესპანურიდან)

სტალინის სიკვდილთან დაკავშირებით ამ „საუბრის“ შემდგენელთან მოისურვა ჰაზრთა გაცვლა - გამოცვლა ვინმე უცნობელმა, რომელმაც თავის-თავს „თავისუფალი მოაზროვნე“ უწოდა. ამ — ასე დავარქვათ — ინფორმატორის ინტერესი უფრო გაცხოველდა, როცა მან შეიტყო, რომ მე პირადათ ვიცნობდი ამ თვის დასაწყისში მოსკოვში მოწკვდარს თუ მოკლულს კრემლის კომუნისტ - ჯალათების დენდგის ბელადსა და გამძღოლს. ზოგიერთ ცნობა მივაწოდე ამ შემკითხველს.

ამ საუკუნის დამდეგს მე, ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკს ოდნავ გაცილებული, დავიარებოდი ჩემებისაგან მალვით ტფილისის ერთ - ერთ საიდუმლო სოციალ - დემოკრატიულ უჯრედში („იაჩეიკა“), სადაც მომავალ პროპაგანდისტებს მარქსიზმისა და მატერიალიზმის საფუძვლებს განუმარტავდნენ. ჩემი ყურადღება მყისვე მიიპყრო ერთმა ყველაზე უფრო ახალგაზრდა „მასწავლებელმა“: გამხდარი, ყვავილით მცირეთ დაზიანებული სახით, ხშირი თმა წამდაუწამ უმალავდა ისედაც ვიწრო შუბლს. მუდამ დაღვრემილი და გაბოროტებული. თვალებში არავის აცქერდებოდა. ლაპარაკობდა მშრალათ, მოკლე-მოკლე ფრაზებით. იყო, და ამბობენ, ახლაც დარჩა მუდამ „მტრათ“ რუსული ეტიმოლოგიისა და სინტაქსიზმის ძირითად კანონებთან. კაპიტალიზმის და ბურჟუაზიული წყობილების დახასიათებაში მასალა რომ შემოაკლდებოდა ისტორიისა და სოციოლოგიის მჩატე ცნობებიდან, რომლებიც მას გამოტანილი ჰქონდა ბროშურებიდან, იშველიებდა გამოთქმებსა და ეპიტეტებს, ახალგაზრდათა „აუდიტორიას“ მეტად რომ აოცებდა... ეს იყო სტალინი, იმ წლებში „ამხანაგ კობათ“ ცნობილი.

გაზაფხული 1907 წლის. დილით მივემართებოდი სემინარიაში და უნდა გადამეჭრა ახმაურებული მოედანი იმავე ტფილისის ყველაზე უფრო ცენტრალ ნაწილში. შორი - ახლო მომესმა ქუხილისამებრი გრიგვინვა, რომელმაც აანზანზალა შენობები. გამოირკვა, რომ ბოლშევიკ - ტერორისტ - ექსპროპრიატორების ბანდა დასცემოდა შეიარაღებულ ცხენოსან კაზაკებისაგან თანხლებულ ეტლს, რომელშიაც გადაჰქონდათ სახელმწიფო ბანკში ნახევარ - მილიონი მანეთი (250.000 ოქროს დოლარი). ცხენოსნები და მეეტლე მოკლულიქმნენ. ამ ბანდას ხელმძღვანელობდა ციმბირიდან გამოქცეული ამხანაგი “კობა“. მთელი თანხა უკლებლივ გადაცემულიქმნა საზღვარგარეთული ბოლშევიკური კომიტეტისათვის ციმმერვალდში (შვეიცარია). ხოლო „სახელოვან ამხანაგ კობას“ სრული და ზუსტი შესრულებისათვის აღნიშნულ კომიტეტის დავალებისა, ლენინის მიერ მიეკუთვნა სახელწოდება „სტალინი“. ეს ფსევდონიმი მას შემორჩა ბოლ-

*) გადაცემულია 22 მარტს ისპანიის რადიო - სადგურის მიერ. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომდის, ვიდრე მიალურსმებოდა კუბოს ფიცარით. გატაცებული ფული განაღდება უცხო ვალიუტაზე მიანდეს სხვა წარჩინებულ ბოლშევიკს — ფინკელშტაინ-ლიტვინოვს, რომელიც იმ ხანებში ლონდონში ცხოვრობდა და რომელსაც ამ „ოპერაციისა“ გამო საპატიმროში ამოაყოფინეს თავი. მაგრამ — tempora mutartur: — ამავე ლიტვინოვს შემდეგომში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს ჟენევის „ერთა ლიგაში“, ყველა ქვეყნის დიპლომატები მოკრძალებით ხელს ართმევდნენ...

სტალინი ხომ ქართველი იყო — შემეკითხა ჩემი მესაუბრე, — მაშ ის რასაკვირველია, როგორც ამტკიცებენ, დაუზოგველათ არბევდა თავისიავე თანამემამულეებს? დიახ — მიუგე — სტალინი-ჯუღაშვილი ქართველი იყო და ისიც საქართველოს ცენტრალურ ნაწილიდან — ქართლიდან, და ქართული ენა იყო ერთადერთი, რომელზედაც მას შეეძლო ცოტათ თუ ბევრად რიგიანათ აზრის გამოთქმა. ხოლო იმისი თქმა, რომ სტალინი სდევნიდა მხოლოთ ქართველებს, არ არის შესაბამისი სინამდვილესთან: მისი მემფსონი „ჩეკისტები“ მუსრს ავლებენ ბითუმათ ყველას, ეროვნების მიუხედავათ. გარდა სტალინს ძველი ანგარიშები ჰქონდა საქართველოსთან: თავის სამშობლოში მან პოპულარობა უწინაც ვერ ჰპოვა, თანაც ბოლშევიკები იქ თითებზე ჩამოითვლებოდნენ. თავისი სიძულვილი სტალინმა გადაიტანა ქართველ სახელმწიფურისა და პოლიტიკური მოღვაწეებზე, ხალხის ნდობით რომ იყვნენ აღჭურვილნი.

კომუნისტების მიერ ხელისუფლების ხელთიგდების შემდეგ ყოფილ რუსეთის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე საქართველო იყო ერთადერთი კუთხე, რომელმაც თავი დაიცვა ბოლშევიკური კეთროვნებისაგან. მან თავისი თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოაცხადა, ესე იგი, დაიბრუნა ის მდგომარეობა, რაიცა რუსეთის მიერ წარტაცებულ იქმნა 117 წლის წინეთ. პირველ პრეზიდენტათ იყო ამასწინათ პარიზში გარდაცვალებული სახელმოხვეჭილი ერის წინამძღოლი და განთქმული პოლიტიკური მოღვაწე ნოე ჟორდანია, რომელიც სტალინს სძულდა, როგორც ეშმაკს ჯვარი. იმ ხანებში სტალინის მცირეხარისხოვანი თანამდებობა ეპყრა — იყო ეროვნებათა კომისარი; შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილში მიგდებული იყო. ლენინს, უკვე განუკურნებელი სენით შეპყრობილს, მიახლოვებული ჰყავდა ტროცკი, ბუხარინი, ზინოვიევ-აპფელბაუმი, როიკოვი, ენუქიძე და სხვები, შემდგომში ერთიანათ განადგურებულნი სტალინის მიერ. ეს უკანასკნელი ჰგრძნობდა, რომ ლენინის დღენი გამოთვლილნი არიან და რომ შორს არ არის ჟამი ბრძოლისა მეთაურობისათვის.

არც ერთი აქ დასახელებული პირთაგანი და არც სხვა ვინმე პარტიის ჭაობში ამოტივტივებულნი ვერ შეედრებოდნენ სტალინს ვერც ორგანიზატორულ ნიჭით, ვერც გაიძვერობაში, ვერც ჭუჭყიან მახინაციებში, ვერც სიმუხთლეში, ვერც ურცხვ გამცემლობაში, ვერც უსაზღვრო სისხლის მსმელობაში. იმ დროს, როცა ცენტრში აურიცხველ სხდომებზე დაუშთავრებლათ ყბედობდნენ იმპერიის სახელმწიფურისა და სამეურნეო წყობის ბოლშევიკური ყაიდაზე სწრაფათ გარდაქმნის საშუალებებზე, სტალინის მრავალრიცხოვანი კლევრეტები დაუსვენებლათ მუშაობდნენ პერიფერიებში, შიგ ხალხში და ასე სტენავდნენ ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებსა და „ჩეკის“ აპარატს მის მომხრეებით.

სტალინის გეგმები უფრო შორს მიდიოდნენ. მას უნდოდა ხელში „კოზირი“ სჭეროდა ლენინის ყველა მომხრეთა დასამარცხებლათ. სტალინმა საკუთარი თაოსნობით, არავის შეეკითხავათ მოაწყო საქართველოზე თავდასხმა, საითკენაც მან მიაშურა ალვირახსნილი, გახრწნილი, უმწეო კავკასიის ხალხთა ამწიოკებელი წითელი ბანდა, რომელსაც მიაშველა თავისი მეგობრის ჟლობის ცხენოსანი რაზმი. ამ შეიარაღებულ გათახსირებულ ურიცხვ ბრბოს არიერგარდში მისჩანჩალებდა იმავე სტალინის მიერ შეხიზნული „ქართული“ კომისარიატი, შეკოწიწებული ისეთი გამცემლებისაგან, როგორიც იყვნენ ბუდუ მდივანი, ფილიპე მახარაძე, შამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, მალაქია ტოროშელიძე, ლევან ლოლობერიძე და სხვანი, ასევე შემდგომ დახვრეტილნი (გარდა მახარაძისა) სტალინის ბრძანებით ეგრეთ წოდებულ „გადახრისათვის“ ნაციონალურ საკითხში. სტალინის ვარსკვლავმა გაანათა. მან დაამთავრა ბოლშევიკური სატრაპიის „შემომრგვალება“. უსწორო ომში დამარცხებული საქართველო მოემწყვდა წითელ რკალში.

21 იანვარს 1924 წელს მოკვდა ნახევრათ გიჟი პარალიტიკი ლენინი. სისხლიან მის სავარძელზე ასკუპდა „ლილოელი გლეხი“. დარეტიანებულ „ხარისხოვანთა“ თავები დაიხარნენ მის

წინაშე... 4 მარტს 1953 წელს შესწყდა ოცდაცხრა წლის სისხლიანი მეუფება მტარვალისა, რომლის მსხვერპლნი აღირიცხებიან მილიონობით. მოუშორდა ამ ქვეყანას მთავარი ტირანი, მაგრამ ეს სრულებით არა ჰნიშნავს იმას, რომ რიცხვუდებ მოწამეთა სისხლით გაჟღენთილი მიწა შეშრეს: დარჩნენ სტალინის სისხლის მწოველ შკოლის წურბელები, და ისინი ვიდრე ერთმანეთს ყელს გამოჰლადრიდენ, კიდევ ბევრს შესძლებენ ბოლშევიკური სისხლიან „მკაში“. ხალხის გზინვა არ შესუსტდება იმისა გამო, რომ „გენიოსი“ შეეცვალეს „უბადრუკებმა“...

თქვენ პირადად როგორ აფასებთ სტალინის სიკვდილს? ასეთი იყო ერთი შემდეგთაგანი შეკითხვა ჩემი მესაუბრისა. როგორც შვეციასა და ხანას დამონებულისა და სასომიხდილ რუსეთის ხალხისას უბოროტესისა და მხეცათქმნილ ტირანისაგან, რომლის მსგავსს ვერ ჰპოვებთ კაცობრიობის ხანდასმულ ისტორიაში, ასეთი იყო ჩემი პასუხი. თუ თქვენ — დაუმატე მე — წაკითხული გაქვთ სახარება, უნდა მოგაგონდეთ მრისხანე სიტყვები იესოქრისტესი: ყოველი ცოდვა ეპატიება ადამიანს, ხოლო არ ეპატიება გმობა სულისა წმინდისა. აქ სულიწმიდათ იგულისხმება თვით ღვთაება, მაცხოვრის მიერ მოცემული მცნებანი და ამ მცნებათა აღსასრულებლად სწავლანი სულითშემოსილ მოციქულთა და წმიდა მამათა ეკლესიისა და მის ძეთა მიმართ. სულისა წმიდისა სტალინი არამც თუ თვით ჰგმობდა, ის დრაკონული ზომებით ჰფხვრიდა უფლის სახელის ხსენებას კომუნიზმისა წუმპეში ჩათრეულ ქვეყანაში.

მისი ბედკრული სულის ხვედრი ჩემს კომპეტენციას აღემატება.

## ცნობები საქართველოდან

გასულ წელს, გაზაფხულის წმენდა აღმოჩნდა უფრო ღრმა, ვინემ ეს წარმოსადგენი იყო. მან იმსხვერპლა, თითქმის ყველა, ადგილობრივ გამოჩენილი და „დამსახურებული“ კომუნისტური მეთაურობა და მათი ძმა-ბიჭები. გაშიშვლდა მთელი რიგი სახელმწიფო და პარტიული აპარატები. ძველების ადგილის დასაჭერად არ აღმოჩნდა საკმაო რიცხვი მომზადებული შემცვლელი კადრები. ამან კიდევ უფრო არია მდგომარეობა და გააძლიერა ეკონომიური და ადმინისტრატიული ქაოსი. მიუხედავად ამისა წმენდა უფრო და უფრო ფართოვდება და იგი ედება ზევიდან ქვენა ფენებამდე.

გაზაფხულის წმენდის მიზეზი, ჩვენ გვეხატებოდა ორი შესაძლებლობის მხრივ: პირველი— დავა ცენტრისა და პერიფერიების შორის უფლებებზედ და მეორე — ბრძოლა მემკვიდრეობისათვის კრემლში. ჩვენი ეს ორი მოსაზრება შემდგომმა ამბებმა სავსებით დაადასტურა და იგი ერთი-მეორეს შევსება აღმოჩნდა.

საკავშირო კომპარტიის ყრილობის სამზადისმა და თვითონ ყრილობამ დაამტკიცა, რომ ბრძოლა მხოლოდ დაიწყო. ამ ბრძოლაში ცენტრმა სავსებით გაიმარჯვა პერიფერიებზედ. ნაციონალური რესპუბლიკები უფრო მაგრად ჩაჭედეს რკინის არტახებში. ნაციონალური ძალების დევნა, მისი ინტერესების მიფუჩეჩება და საკავშირო რესპუბლიკების უბრალო პროვინციებად გადაქცევა — ფორმალურადაც დადასტურებული იქმნა **კრემლის საიდუმლო განკარგულებით.** ამ განკარგულების ძალით, მაგალითად, აკ. მგელაძე — ფორმალურად საქართველოს კომპარტიის მდივანი, — აღჭურვილია დიქტატორული უფლებებით და მისი აზრი და გადაწყვეტილება სავალდებულოა მთელი ამიერ-კავკასიისათვის.

მეორე მხრივ, ბრძოლა მემკვიდრეობისათვის იღებს სულ სხვა ხასიათს. იგი დღეს-დღეობით იხატება აშკარა და მწვავე დაპირდაპირებაში პარტიულ აპარატსა და სახელმწიფო-სამეურნეო მართველ ორგანოებს შორის.

პირველი შეტაკება პარტიასა და ჩინოვნიკობას შორის მოხდა პარტიის მე-19 ყრილობაზე და იგი დამთავრდა პირველის დამარცხებით, რის თვალსაჩინო შედეგი იყო პოლიტ-ბიუროს და ორგ-ბიუროს გაუქმება. ამით მალენკოვის, როგორც პარტიის მდივნის, როლი საგრძნობლად იქნა შეკვეცილი. კადრების ფუნქცია გადატანილი იქნა სპეციალ ორგანოში, რომელიც ექვემდებარება მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტს. უკვე დაიწყო შეტევა შინაგან და უშიშროების სამინისტროების წინააღმდეგ, რაიც პირდაპირ მიმართულია ბერიას წინააღმდეგ, რომელიც ითვლება პარტიულ აპარატის მომხრეთა მეთაურად მალენკოვთან ერთად. უკვე გადაყენებულია ბერიას მარჯვენა ხელი, სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო უშიშროების მინისტრი — აბაკუმოვი და მის ადგილზე მოვიდა მოლოტოვის კაცი იგნატიევი.

ყველაფერი ეს აქ ითვლება მთავარ სიმპტომად ბიუროკრატიის გამარჯვების პარტიაზედ. ამ ბიუროკრატიის დამცველად ითვლებიან მოლოტოვი, ბულგანინი, ხრუშჩოვი და სხვა. ბრძოლა ამ ორ მიმდინარეობათა შორის დღითი-დღე ღრმავდება. ძნელია იმის თქმა, რით გათავდება ეს ბრძოლა?

პარტიულ წრეებში გამეფებულია ის აზრი, რომ სტალინი იცავს საქმიან სპეცებს და მხარს უჭერს პარტიულ პოლიტიკანების უკანა პლანზედ დაყენებას. სხვათა შორის, ამით აიხსნება სახელმწიფო - სამეურნეო აპარატის ასეთი ადვილი გამარჯვება მე-19 ყრილობაზე — ყოვლად შემძლე პარტიულ და პოლიციურ ორგანოებზე.

აქვე ირკვევა, რომ ბერიას ხელმძღვანელობით ჩატარებული წმენდა შარშან თბილისში — ყოფილა სტალინის პირდაპირი ბრძანებით მისი (ბერიას) სურვილის წინააღმდეგ. ბერიამ სტალინის ბრძანება აასრულა და საქართველო გაასწმინდა მისი პირადი მეგობრებისაგან. სხვანაირად მისი ბედი ბეწვზედ ეკიდა. აკ. მგელაძის წრეში არ მალავენ, რომ ბერიას დღეები დათვლილია, თუ სტალინი დღეგრძელი იქნა.

რა არის მთავარი და ძირითადი მიზეზი მთელი ამ ორომტრიალის? ოფიციალური ტრაფარეტის მიხედვით — წმენდის დროს გამოირკვა, რომ პარტიული აპარატების დაუდევრობით და „კრიმინალური გულგრილობით" და უვიცობით — მთელ რიგ მსხვილ და წამყვან წარმოებებში მეტად სახიფათო გარღვევებია. მთელი რიგი წლების „მიღწევების სტატისტიკა" ყალბი აღმოჩნდა. უკანასკნელი ხუთი წლების შედეგები „სტატისტიკით" ნაჩვენები იყო 100 - 150 პროცენტით, სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ გეგმა შესრულებულია მხოლოდ 38 - 50 პროცენტით. ასეთივე მდგომარეობა არის სასოფლო მეურნეობაშიაც, სადაც 1951 - 1952 წ.წ. აღმოჩნდა კატასტროფიული მთელ რიგ წამყვან რაიონებში.

დამნაშავედ ყველაფერ ამაში სამეურნეო სპეცებმა გამოამჟღავნეს პარტიული აპარატები და მისი ხელმძღვანელების უავტორიტეტობა და უვიცი ჩარევა სამეურნეო პროცესებში და მათ წარმართვაში.

მე 19 პარტიული ყრილობაც ამ ფსიქოლოგიური წნევით იქნა მომზადებული და შედგენილი, სადაც სახელმწიფო - სამეურნეო სპეცები 80 პროცენტს შეადგენდნენ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ყრილობა აღმოჩნდა ჩინოვნიკების და სპეცების კრებული. და იგი დაუპირდაპირდა პარტიულ ოლიგარხიას.

სინამდვილეშიაც, ამ ორ ბანაკთა შორის, ძალთა განწყობილება არ არის თანასწორი. ამას ამტკიცებს უბრალო ციფრი: მთელ საბჭოთა კავშირში სახელმწიფო ცხოვრების ყველა დარგებს განაგებს და მართავს 9 მილიონამდე ტექნიკოს - სპეცები, რომელშიაც მხოლოდ 2 მილიონია პარტიული აპარატის ხელმძღვანელობა, სამეურნეო დარგებში ჩაბმული თავისი პარტიული ფუნქციების მიხედვით. ამრიგად, სპეც - ტექნიკოსთა ეს მრავალი მილიონიანი არმია წლების განმავლობაში გადაიქცა ნამდვილ, ძირითად მართველ და მეურნეობისათვის მიუცილებელ კლასად. იგი დღითი - დღე იზრდება წარმოებას - მოწყველობის ზრდასთან ერთად და თანდათან იჭერს ბრძანებელ პოზიციებს საბჭოთა სინამდვილეში.

ასეთია კრემლში ყრუ, მაგრამ მწვავე, ბრძოლის გარეგანი სახე. ამის უკან კი იმალება მწარე სინამდვილე. სტალინის ირგვლივ შემოკრებილი მეთაურობა ო რ მ ო პ ი რ დ ა პ ი რ ე ბ ა ნ ა კ ა დ გაყოფილი, აწარმოებს გააფთრებულ ბრძოლას მემკვიდრეობისათვის. ჯერ - ჯერობით ეს ბრძოლა ატარებს შეფის გვერდით პირველი ადგილის მოპოების ხასიათს. ამიტომ ამ ბრძოლის მსხვერპლია ჯერ კიდევ ხელქვეითი, როგორც მეთაურები, პარტიულ თუ სახელმწიფო ორგანოებში. კრემლის „ბუმბერაზებს" იგი ჯერ არ შეხებია.

ამ ორი მოპირდაპირე ბანაკის მეთაურებად ითვლებიან ერთის მხრივ, — მოლოტოვი - ბულგანინ - ხრუშჩოვი, ხოლო მეორეში — ბერია - მალენკოვი - კაგანოვიჩი. მე-19 ყრილობაზე სტალინის პირდაპირი ჩარევით — გაიმარჯვა მოლოტოვ - ბულგანინის ჯგუფმა, რომელიც ითვლება სახელმწიფო აპარატის, სპეც - სანოვნიკების მეთაურად და სულის ჩამდგმელად.

რა მოხდება შეფის წასვლის შემდეგ? ძნელია ამ კითხვაზე გადაჭრილი პასუხის მიცემა; მაგრამ ერთი კი ცხადია: დღეს დამარცხებული ბერია - მალენკოვის ჯგუფი ასე ადვილად იარაღს არ დაყრის. საქართველოს კომპარტიის ცეკას წრეებში გავრცელებული ვერსიის მიხედვით, მოლოტოვ - ბულგანინის ჯგუფის გამარჯვება დროებითია. იგი აქ მიაჩნიათ გარდამავალ პერიოდად, რომლის ხანგრძლივობა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკიდებულია შეფის დღეგრძელობაზე და იმის ჯანმრთელობაზე, რაიც მეტად შერყეულია და რომლის ტრაგიკული ბოლო, ნებითი თუ უნებლიეთი, შორს არ უნდა იყვეს. **ამ კითხვაზე კი ბევრი რამ არის დამოკიდებული საბჭოთა სინამდვილეში.** აქ დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ მე-19 ყრილობაზე სტალინმა სრულიად შეგნებულად აირჩია მის მემკვიდრეთ მოლოტოვი. მაგრამ შეძლებს კი ეს უკანასკნელი, შეფის გაქრობის შემთხვევაში, მემკვიდრეობის აღებას და შენარჩუნებას? აქ ეს მეტად საეჭვოდ მიაჩნიათ, ვინაიდან ბერია - მალენკოვის ჯგუფი თავისი პოტენციალი და რეალური ძალით გაცილებით მძლავრად ითვლება ვინემ პირველი.

ყოველ შემთხვევაში სანამ სტალინი ცოცხალია მე-19 ყრილობის დადგენილებები ურყევი კანონია და იმის შეცვლას ვერავინ გაბედავს. ეს კი ნიშნავს საბჭოთა სახელმწიფოში სპეც - სანოვნიკების როლის ზრდას და მისი იდეოლოგიის განმტკიცებას. ამას კი სტალინი დიდ მნიშვნელობას აძლევს დღევანდელ მეტად აწეწილ საერთაშორისო მდგომარეობაში.

აქ ყველა დარწმუნებულია, რომ ომი კარზეა მომდგარი. ამიტომ გასაგებია, რომ სტალინი ეხლა კურსს იღებს სპეცებზე და პარტიას უკან აყენებს, როგორც ეს იმან ჩაიდინა ომის დროს, როდესაც მარქს - ლენინი დროებით განზე გადადო და ლოცვა დაიწყო სუვოროვ - კუტუზოვის სურათებზედ.

ასეა თუ ისე, მე-19 ყრილობის დადგენილებებიდან ჩვენთვის — ნაციონალური რესპუბლიკებისათვისაც — მდგომარეობის გაუარესების მეტი არაფერი გამოსულა, რუსის ბიუროკრატიის გაძლიერება უფრო საგრძნობი ხდება ადგილობრივ... რუსიფიკაციის მრუდე ხაზი ამიერკავკასიაში დღეს აღმავლობისაკენ მიიმართება.

ხელისუფლება აღარ კმაყოფილდება ქართული მწერლობის ასი პროცენტით დამორჩილებით. მას წაართვეს თავისუფალი შემოქმედების ნიშან - წყალი. იგი გახადეს კრემლის მტარვალთა მომღერლებათ და სისახლის ტრუბადურებად. ხალხის ჭირ - ვარამის მხატვრებიდან, განათლების ლამპრებიდან — ისინი გადააქციეს ხალხის მოტყუების იარაღად; მოტყუების და სიბნელის მოციქულებად. ვინც ამ კალაპოტში ვერ თავსდება, „აღმაფრენა" გაიტაცებს — იგი ხალხის მტრად და „ბურჟუაზიულ ნაციონალისტად" ცხადდება. მისი კარიერა, თუ სიცოცხლე არა, გათავებულად ითვლება.

ერთი სიტყვით, 1952 წელი, მთავრდება დიდი ნერვიული დაჭიმვით მთელს საბჭოთა კავშირში. კრემლის კედლებში გაჩაღებული ბრძოლა ნელ - ნელა ედება მთელ ქვეყანას, იჭრება საბჭოთა მოქალაქის ყოველ - დღიურობაში. ყველა გრძნობს დიდი ამბების მოახლოვებას და ამას უკავშირებენ საშინაო და საგარეო მოსალოდნელ გართულებას. გვინდა იცოდეთ, რომ ჩვენს წრეში დიდს არაფერს მოველით შინაგან „გართულებიდან", თუ მას არ დაემთხვა საგარეო გართულებაც...

**ქალ. №. დეკემბერი 1952.**

## დ ა მ ა ტ ე ბ ა

„როგორც ზემო მოყვანილ ჩვენი დეკემბრის წერილიდან დაინახავთ, მეტად დაგვიანდა ფოსტის გადმოგზავნა. ამის მიზეზი იყო ტექნიკური დაბრკოლება... მაგრამ ეს დაგვიანება მთლად უშედეგოც არ აღმოჩნდა.

მოხდა ის, რასაც უკანასკნელ ხანებში ყველა მოელოდა. სტალინს „დამბლა" დაეცა და გარდაიცვალა, ამიტომ ვჩქარით ზოგი რამ მოკლედ გაცნობოთ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ელოდა შეფის ტრაგიკულ ბოლოს — სტალინის გარდაცვალების ამბავი ბომბსავით გასკდა საბჭოთა სინამდვილეში. საინტერესოა, რომ აქ არავის სჯერავს ამ „დამბლის". იგი მიაჩნიათ კრემლის დიპლომატიურ ხერხად, ხალხისთვის სინამდვილის დასაფარავად. აქ ირწმუნებიან, რომ სტალინს „შეუშხაპუნეს"; რომ მისი სიკვდილი დააჩქარა ბერია - მალენკოვის ჯგუფმა, რომელთა ბედი ბეწვზედ ეკიდა, თუ შეფი საიქიოს დროზედ არ წავიდოდა. ეს ამბავი აქ არავის უკვირს და იგი ბუნებრივად მიაჩნიათ. აქედან თქვენ დაასკვნით, აქაური სულიერ განწყობილებას, რომელიც მომზადდა კრემლში, მემკვიდრეობის ბრძოლის პროცესით.

როგორც უკვე გეცოდინებათ, სათავეში მოექცა მალენკოვი, რომელიც წამოყენებული იქმნა თითონ ბერიას მიერ. აქ გავრცელებული ხმების მიხედვით რომელიც მოდის საქართველოს კომპარტიის ცეკას სამდივნოდან, — კაგანოვიჩს, მიკოიანს, ვოროშილოვს და თვით მალენკოვსაც კი სდომებიათ სტალინის ადგილზე ბერიას დასმა, მაგრამ ეს უკანასკნელი წასულა წინააღმდეგი, და განუცხადებია: „ჯერ არ არის ამის დრო, ამას შეუძლია გართულებები გამოიწვიოს მოწინააღმდეგე ჯგუფებიდან, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს - დღეობით არ არის დასაშვები"-ო. ბერიას ეს განცხადება აქ ისე მიაჩნიათ, რომ ბოლოს და ბოლოს ის იქნება სტალინის ნამდვილი მემკვიდრე.

ამავე წყაროს მიხედვით, ბერიას აქტიური ჩარევით მიღწეული იქნა შეთანხმება მოლოტოვ-ბულგანინის ჯგუფთან. მოლოტოვის ჯგუფი მით უფრო ადვილად დასთანხმდა მალენკოვის კანდიდატურას, როგორც უფრო ნეიტრალურის, როდესაც მიიღო თანხმობა ბერიასაგან იყოლიოს თავისი კაცი ხრუშჩევის სახით პარტიულ აპარატში. ყველა ეს შეთანხმება, თუ იმავე წყაროს დავუჯერებთ, მოხდა კრემლში ერთი კვირით ადრე, სანამ გამოაცხადებდენ — სტალინს „პარალიჩი მოუვიდა"-ო. აქედან ასკვნიან, რომ სტალინი, ყოველ შემთხვევაში, ერთი კვირით უკვე მკვდარი იყო და მისი ავადმყოფობა გამოაცხადეს, როდესაც ეს ორი მოპირდაპირე ბანაკი შეთანხმდა მთავარ საკითხზე.

ძნელია იმის თქმა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. ერთი კი აშკარა არის: შეთანხმება ორ ჯგუფთა შორის, უეჭველად, დროებითია. მალენკოვის მეთაურობაც დროებითია; აქ არავის იჭვი არ შესდის იმაში, რომ მას ბერია შესცვლის, რომლის ხელშია ეხლა თავმოყრილი მთელი დამსჯელი აპარატი. იგი ამ საშინელ იარაღს ეხლა განაგებს **განუყოფლად და უკონტროლოდ**. მისი აგენტებით მოფენილია პარტიული, სახელმწიფო და სამხედრო ორგანოები. ყველა ამით მისი ავტორიტეტი, სხვა პარტნიორებთან შედარებით, უფრო დიდია, ვინემ შეიძლება ეს კაცმა წარმოიდგინოს. სტალინის სიცოცხლეში იგი დიდს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ იმის შემდეგ ბერიას აღარ სჭირდება ვინმეს დასტური ან თანხმობა თავის მოქმედებაში. ეს კი მთავარია საბჭოთა პირობებში.

აღსანიშნავია, რომ სტალინის სიკვდილმა გამოიწვია ხალხში ერთგვარი გათამამება, რაღაც იმედიანობა; თუმცა ჩვენ დიდ ცვლილებებს არ მოველით ახალ მეთაურებისაგან, მაგრამ ხალხის ეს სპონტანიური განწყობილება გვაფიქრებინებს, რომ უეჭველად ვუახლოვდებით დიდ ამბებს.

საბჭოთა პოლიტიკის ძირითადი ხაზი რჩება უცვლელი. მე-19 ყრილობის დადგენილებათა გაუქმება ბუნებრივია მალენკოვ - ბერიას მიერ, როგორც მათი წინააღმდეგ მიმართული. აქ ყველა ელის ფართე წმენდის ახალ ტალღას. ბერია - მალენკოვი შეეცდებიან განსწმინდონ მოწინააღმდეგესაგან მბრძანებელი პოზიციები. მოლოტოვ - ბულგანინი შესძლებენ ამის შეჩერებას? ჩვენ ვფიქრობთ არა და თუ შეეცდებიან, მაშინ გაიზიარებენ ზინოვიევ - კამენევის ბედს.

საგარეო პოლიტიკაშიაც საგრძნობ ცვლილებებს არ ველით. თუ დასავლეთი აღმოჩნდა მაყურებლის როლში და აქტიურად არ გამოიყენა ხელსაყრელი მდგომარეობა—რუსეთში სარაფერო შეიცვლება. ბერია - მალენკოვი ამ შემთხვევაში გააგრძელებენ სტალინის გზას და დასავლეთი აღმოჩნდება სასიკვდილო საფრთხის წინაშე. ახლო მომავალი დაგვანახვებს კრემლის ნამდვილ სახეს.

ქალ. №. 10/3 1953.

---

## ნოე ჟორდანია

წავიდა ამა სოფლიდან ნოე ჟორდანია. განშორდა ამა ქვეყნის ამაოებას უდიდესი შვილი ჩვენი სამშობლოისა. ხანგრძლივი იყო მისი სიცოცხლე. მას შეუსრულდა სრული 85 წელიწადი. მიუხედავად ამისა მისმა განსაცვიფრებელმა ცხოვრების ძალამ დაიფარა ის მოხუცებულობის დაღრობა - დაჭკნობისაგან და შეინახა უკანასკნელ დღემდე „ახალგაზრდათ", აქტიურათ და მოქმედ ადამიანათ.

წაგვიკითხავს ბევრ ჯერ, რომ ჩვენი ქვეყანა „წილხვდომილია ღვთისმშობლისა"-ო. ალბათ ეს ლეგენდა შექმნეს იმათ, ვისაც უნდოდა ასე ყოფილიყო; სწამდათ კიდეც, რომ ეს ასეა. ასევე გვწამდა ჩვენც, რომ რაღაც მისტიური ძალა უგრძელებდა ნოე ჟორდანიას სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ.

ვიცოდით რომ წლებს თავისი გააქვს, ვიცოდით რომ უკვდავი არავინაა. მაგრამ როცა აუცილებელი მოხდა, გონებას დიდხანს არ უნდოდა შერიგებოდა მომხდარ ფაქტს. ის იყო ჩვენთვის განსახიერება სიცოცხლის, ახალგაზრდობის და ბრძოლის. ამიტომ ცივი, უმოძრაო სიკვდილი გვეჩვენებოდა შეუთავსებლად მის მუდმივ მოუსვენარ და მოქმედ ბუნებასთან.

მწუხარება ერთბაშათ დაგვატყდა თავს მთელი თავის სიმწვავით და სიმძიმეს მისი განშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისას ვგრძნობდით და განვიცდიდით თანდათან. და ეს განცდა შექმნილ თანამედროვე ეროვნულ და მღელვარე ცხოვრებაში, თქმა არ უნდა, კიდევ უფრო გაიზრდება და გაღრმავდება.

მრავალი წლები ვიყავი მე მასთან ახლო როგორც საზოგადო მუშაობაში, ისე პირადად და ოჯახურად. მრავალი დღეები გამარჯვების სიხარულისა განმიცდია მასთან, მრავალი მწარე დღეებიც მიგრძვნია დამარცხების წლებში. მაშინაც, როცა ჩვენი რიგები მეტად მრავალრიცხოვანი იყო; მაშინაც როცა ეს რიგები მეტად გამეჩხერდა. მე მინახავს ის არა მხოლოდ გადამწყვეტ გმირულ მომენტებში, არამედ ყოველდღიურ პოლიტიკურ მუშაობაში. და მიმუშავია რა მრავალი წლები მასთან — ბევრჯერ მიგრძნია სიხარული, რომ ბედმა მარგუნა ასე ახლო ვყოფილიყავი ამ ყოველმხრივათ საინტერესო ადამიანთან.

მე არ შემიძლია, რასაკვირველია, ვიკისრო მისი პოლიტიკური მოღვაწეობის სურათის აღდგენა, მით უმეტეს საგაზეთო წერილში, არც მისი პიროვნების დამახასიათებელი მხარეების სრული გადმოცემა. ასეთი ფართე შრომისთვის, ეხლა არაა, დადგება შესაფერი დრო და შეიქნება შესაფერი პირობებიც. მე მინდა აქ აღვნიშნო მხოლოდ ზოგი რამ და ისიც მოკლედ.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ნოე ჟორდანია ქართველი ერის სახელმძღვანელო პოსტზე იდგა და ეს ხანა სავსებით გაჟღენთილია შემოქმედებით და აქტივობით. მან დაიწყო პოლიტიკური მოღვაწეობა 1894 წელს და მას შემდეგ დაუღალავად და დაუსვენებლად მუშაობდა ეროვნული ცხოვრების ყველა დარგში.

ნოე ჟორდანია ეკუთვნოდა 90-იან წლების თაობას, თაობას, ქართული სოციალიზმის ისტორიაში რომ უპირველესი ადგილი უჭირავს; თაობას, რომელმაც გადააბრუნა ჩვენი ქვეყნის ისტორიული სვე-ბედი. მთელი ათეული წლების განმავლობაში დარჩა ის ამ თაობის მეთაურად და ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ყველა სფეროში ისეთი ბრძოლა აწარმოვა და ისეთი როლი ითამაშა, რომ სრულიად სამართლიანად ამ ხანას ნოე ჟორდანიას ეპოქას უწოდებენ.

ამ თაობას ახასიათებს მებრძოლი მორალი რევოლუციონერის, აგრესივობა ქართული ანალიზირება მარქსიზმის, ფართე ინტერნაციონალური თვალთახედვა და „ზაპადნიჩესტვო“ რომლის ძირი და ფესვები ღრმად იყო ჩაფლული ძველი დროიდანვე ქართულ ნიადაგში.. აი თაობის სამოქმედო პროგრამა შემუშავებულია ნოე ჟორდანიას მიერ 1894 წ. და მისი დასკვნების გახსენება, ვფიქრობ, დღესაც არ იქნება ზედმეტი.

„საქართველოს ცხოვრება — ვკითხულობთ იქ — შეიცავს ორ მხარეს, ორივე აუცილებელს და ერთმანეთთან მჭიდროთ დაკავშირებულს. ნივთიერი განვითარება საქართველოს სხვა და სხვა კუთხის და ნივთიერად დაყოფა ქართველი ხალხის. პირველ შემთხვევაში ერი ერთიანდება იდეებით ეროვნული თვით-ცნობიერების ნიადაგზე. მეორე შემთხვევაში იგივე ერი ნაწილდება ინტერესების მიხედვით ეკონომიური თვით-ცნობიერების ნიადაგზე. ეს ორი მხარე ერთი-მეორის შევსილია. პირველი იწვევს მეორეს, მეორე პირველს. საქართველო ერთი, განუყოფელი, საქართველო ორი, სიმდიდრე-სიღარიბის მიხედვით დაყოფილი. პირველ კითხვაში ვერთდებით, მეორეში ვიყოფებით. თუ შინაურ ცხოვრებაში ვიბრძვით, გარეშე მტრის წინააღმდეგ ვერთდებით. ერი ერთდება, იმავე დროს იყოფა. სხვა და სხვაობა ერთობაში, ერთობა სხვა და სხვაობაში. თანხმობა განხეთქილებაში, განხეთქილება თანხმობაში. ჩვენ ჩავდექით ახალ ხანაში არა როგორც ეთნოგრაფიული ხალხი, არამედ როგორც ქართველი ხალხი, მქონე საკუთარი ისტორიის, კულტურის, ზნე-ჩვეულების. აი ეს არის ეროვნული ნიადაგი, ამაზე ვაშენებთ ევროპიულ ცივილიზაციას. თუ ეს ნიადაგი დავკარგეთ, გვეკარგვის ხალხოსნობა, კულტურა, თავისი „მე“. თუ ევროპის ცივილიზაცია არ შევითვისეთ — ვრჩებით დაუძლურებული, სუსტი, მზათ გადასაშენებლად. ქართველობა და ევროპიელობა — აი რა სწერია მის დროშაზე; ჩვენი წინ სვლა ამ დროშის თანდათან გაშლას მოასწავებს. ჩვენი ქვეყანა უკვე შედგა გაევროპიელების გზაზე. გაევროპიელება სწარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა — აი რა სწერია ახალ დროშაზე. ამის ამოკითხვა და ხალხის შეგნებაში გადატანა — ჩვენი დროის ისტორიული კითხვაა“ და სხ. და სხ. და რომ ნოე ჟორდანიამ ეს „ისტორიული კითხვა“ სისწორით ამოიკითხა და ხალხის შეგნებაში გადაიტანა — ამის უდაო საბუთია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების სვლა და განვითარება, რომლის ცოცხალი მოწმენი ჩვენ თვითონ ვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოე ჟორდანიას ძირითადი რწმენა იყო, რომ კაცობრიობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ არსებული საზოგადოების სოციალისტურიათ გარდაქმნით და შეგნება იმის, რომ სოციალური და კულტურული განმათავისუფლებელი მისია დამყარებულია მუშათა კლასის თვით მოქმედებაზე. ის მტკიცეთ და ურყევათ იდგა ამ ნიადაგზე. მაგრამ ამავე დროს არ ყოფილა დოგმატიკი; ის თავის იდეურ ძიებას უფარდებდა არსებულ სინამდვილეს, მაგრამ არას დროს არ საზღვრავდა მას ყოველ-დღიური მოთხოვნილებებით, არამედ იხედებოდა წინ, ძალიან შორს. ის იყო მეთაური დიდი პრობლემების, ფართო პერსპექტივების, დიდი მასშტაბის და დიდი მოხაზულობის. ამიტომ იყო რომ ვერავითარმა პარტიულმა ბრძოლამ ვერ დაჩრდილა მასში ის დიდი ბრძოლა, რომელიც სწარმოებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამიტომ ვიყავით ჩვენც დაიმედებული, რომ მოძრაობას ყავდა ნამდვილი ბელადი.

ყველა ქვეყნის ყველა პარტიაში ბელადს ირჩევენ, ანდა, თუ არ ირჩევენ — დროდადრო მაინც ხდება ამა თუ იმ მოტივით მისი შეცვლა. სამოცი წელიწადი იყო ნოე ჟორდანია სოც.-დემ. პარტიის მეთაური და ის ერთხელაც არ აურჩევიათ. კიდევ მეტი. აზრადაც არ მოსვლია ვინმეს, რომ მას სჭირდებოდა არჩევა, ან და მის მაგიერ შეიძლებოდა სხვა ყოფილიყო. სოც.-დემ. პარტიას საკმარისათ ყავდა ისეთი პირები, რომლებიც შესძლებდენ მეთაურობას, მაგრამ ყველა ისინი უდავოთ სცნობდენ ნოეს მეთაურობას და არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მათგანს ასეთი პრეტენზია ჰქონოდეს. ნოეს ბელადობა იყო უდაო, უცვლელი და ყველას მიერ ნორმალურად მიჩნეული.

ნოე ჟორდანიას გამბედაობა იყო უმაგალითო. მან იცოდა რომ ყველა ჯურის ბელადი არის ნაყოფი დროისა და გარემოების. ამიტომ მას არ ქონდა ისეთი ცრუმორწმუნოება, რომლიდგან განთავისუფლებას ვერ შესძლებდა. ყოველ შეცვლილ პირობებში ის ეძებდა „ახალ გზებს" პოლიტიკური მოქმედებისა, მარა ეს „გზები" მუდამ შეთავსებული იყო საბოლოო მიზანთან. მას შეეძლო გადაესინჯა თავის პოლიტიკური პოზიცია, მარა ისე, რომ მუდამ რჩებოდა ერთგული თავის იდეოლოგიის, თავის ტაქტიკის. მარქსიზმი არ იყო მისთვის მკვდარი დოქტრინა, უმოძრავო, გაქვავებული, ერთხელ და სამუდამოთ მოცემული უცვლელი დოგმა. მას არ ქონდა წარმოდგენილი თავის-თავი განყენებულათ მის ირგვლივ არსებულ პირობებისაგან. არ ავიწყდებოდა, რომ ისტორიის ბორბალი ტრიალობს დროისა და სივრცის ცვალებად პირობებში. და ამ პირობების სოციალურ-ისტორიულ კონცეპციის პროცესში ის ყოველთვის ამჩნევდა ერთი-მეორის საწინააღმდეგო ძალთა განვითარებას. ის თავის ტაქტიკაში ყველა თანამედროვე პოლიტიკური საკითხებს იხილავდა და ითვლიდა შედეგათ საზოგადოებრივი პირობების ცვალებადობისა და ამ ცვალებადობაში ეძებდა იმას, რაც გამოადგებოდა დღეს, მაგრამ იმავე დროს გავლენა ექნებოდა ცხოვრების შემდეგ განვითარებაზე. ამ მხრივ ის იყო მუდმივ მოძრაობაში, შეუწყვეტელ და შეუჩერებელ სვლაში მომავლისაკენ. და ეს მუდმივი შეუჩერებელი პოლიტიკური მოქმედება დრო გამოშვებით იწვევდა „ზოგიერთ გაუგებრობას", ამა თუ იმ ნაბიჯების შესახებ, მაგრამ ასეთი „გაუგებრობა" არას დროს ნორმალურ ჩარჩოს არ გასცილებია. ის საზოგადოებრივ ფორმას და პოლიტიკურ მეთოდებს, რომელიც მას საუკეთესოთ მიაჩნდა — იცავდა თავგამოდებით და თუ ვინმე ამ გზაზე შეეჩეხებოდა, უეჭველად, ბევრს ინანებდა.

ნოე ჟორდანია იყო თანამედროვე ეპოქის უბრწყინვალესი პუბლიცისტი. მის წერილებს ახასიათებს საკითხების ნათლად დასმა, მკვეთრი ლოღიკა და აზრების მკაფიოთ და დალაგებულათ გადმოთქმა თავისებური, საკუთარი მისი სტილით. რაც უნდა რთული არ ყოფილიყო აზრი — ისეთ უბრალო ფორმაში გამოხატავდა, რომ ის ადვილათ აღიბეჭდებოდა თვით განუვითარებელ და პოლიტიკურ აზროვნებას შეუჩვეველ ადამიანის გონებაშიაც კი. ყოველივე ცალკე ამოცანას ისე დააწყობდა-დაალაგებდა და გადაასკვნიდა ერთმანეთს, როგორც რგოლი ჯაჭვში. სწერდა ძალიან ჩქარა, სრულიად ძალდაუტანებლათ. არამც თუ საგაზეთო წერილებში, მის სქელ ტანიან წიგნების დედანშიაც კი ვერ შეხვდებოდით ვერც ერთ წაშლილს, თუ გასწორებულ ადგილს. სწერდა ბევრს და ადვილათ. მეტის კეთილსინდისიერებით ეპყრობოდა სხვის ნაწერს, ასწორებდა, აძლევდა რჩევას და ძალიან ახარებდა ყოველი ნიჭიერი და შინაარსიანი წერილი. ის იყო მოწოდებით რედაქტორი და იდგა თითქმის ყველა ს.-დ. გაზეთების სათავეში იქაც საქართველოში, და აქაც, ემიგრაციაში. პარტიის ყველა პროგრამული და ტაქტიკური

დადგენილებების ავტორი მუდამ იგი იყო. პოლემისტი იყო სასტიკი და დაუზოგავი, მაგრამ მოწინააღმდეგის მიმართ არავითარ ბოროტებას არ იჩენდა.

ხელწერა ქონდა საშინელი, ნამდვილი იეროგლიფები. აქ უცხოეთში მხოლოდ ორს შეეძლო მისი ხელნაწერის თავისუფლად წაკითხვა, თუმცა ხშირად ვერც ჩვენ ვახერხებდით. მარა რაღა ჩვენ — ხშირად თვითონაც ვერ ამოიკითხავდა ხოლმე თავის დაწერილს და იძულებული იყო ახალი ფრაზა თუ სიტყვა ჩაეწერა.

ნოე არ იყო მხოლოდ პუბლიცისტი, ის ეწეოდა მწერლობას ლიტერატურის სხვა დარგშიაც, თუმცა ამისთვის ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. მარა, რაც მას ამ დარგში დაუწერია — სამუდამოთ დარჩება ქართული ლიტერატურის დამამშვენებლად. ასეთია მისი „ვეფხის ტყაოსანი“, „ორი პოეტი“, კრიტიკული წერილი ჭოლა ლომთათიძის ბელეტრისტული ნაწარმოების შესახებ, მთელი რიგი წერილებისა უცხოეთიდგან, რომლის ნაწილი ცალკე წიგნადაცაა გამოცემული. სიტყვა-კაზმულობის მხრივ მისი ნაწერების მრავალი ადგილები, ეჭვი არაა, შეტანილი იქნება სანიმუშოთ ქართული ქრესტომატიაში, როცა ქართული მწერლობა თავის ქვეყანასთან ერთად საბოლოოთ განთავისუფლდება კომუნისტური ტირანიისაგან.

კერძო ცხოვრებაში ნოე იყო მეტად სათნო, უბრალო და პირდაპირი. მისი დიდრონი და დაფიქრებულად გამომეტყველი ჭკვიანი თვალები, პირველი წუთიდანვე გხიბლავდენ. როცა ლაპარაკობდა მისი თვალები ისეთ გამომეტყველობას იღებდა, რომ მისი უნებურად თამაში დაუვიწყარი ხდებოდა. ხანდახან მეტად ნაღვლიანი გამომეტყველობაც ეუფლებოდა ხოლმე.

გაჯავრებაც იცოდა, მაგრამ მისი წყრომაც არაჩვეულებრივი და სასიყვარულო იყო, თუმცა ხშირად სასტიკი. აღსანიშნავია, რომ ის მუდამ და ყოველთვის ბატონი იყო თავის წყრომის და თუ შეატყობდა რომ შეწუხდებოდით — გაწყრომას მაშინვე ხუმრობის ფორმას მისცემდა. მის ჯავრიან სიტყვებში არასოდეს გესლი და დაცინვა არ ყოფილა.

გონების და ნების სიმტკიცესთან, მას ახასიათებდა უდიდესი მომხიბვლელობა. ადამიანი, რომელიც მის წრეში მოყვებოდა, არამც თუ ეთავისებოდა მას, რაღაც თავისებურად უმეგობრდებოდა კიდეც.

იობის მოთმინებით ისმენდა ის დაუსრულებელ კამათს ჩვენს პარტიულ კრებებზე, აძლევდა ყველას საშვალებას გამოეთქვა თავისი აზრი, მარა, როცა თვითონ დაიწყებდა ლაპარაკს — ცხადი ხდებოდა, რომ უდიდესი ნაწილი კამათისა სრულიად უადგილო და ზედმეტი იყო, რადგან ის სულ რამოდენიმე ფრაზაში გამოსახავდა სადაო საკითხის მთელ შინაარს და გამოსახავდა ისე, რომ არ შეგეძლოთ არ დათანხმებოდით. დიდ კრებებზე და საერთაშორისო კონგრესებზე ის იყო მორცხვი და როგორღაც ჩრდილს ეფარებოდა; შეიძლება იმიტომ რომ არ სთვლიდა თავს ორატორად, თუმცა როგორც შინაარსით, ისე სიტყვა-კაზმულობის მხრივ მისი სიტყვა მუდამ შეუდარებელი იყო.

როდესაც საქართველო განთავისუფლდა და მისი დამოუკიდებლობა აღსდგა, ნოე ჟორდანია გახდა მისი პირველი პრეზიდენტი და იმავე დროს მთავრობის თავმჯდომარე. თუ აქამდე ის იყო პარტიის ბელადი, ახლა ის გახდა მთელი ერის ბელადი და როგორც წინეთ პარტია, ისე ახლა მთელი ერი დაიმედებული იყო, რომ ის ქვეყანას უპატრონებდა და ყოველგვარი ხიფათიდან იხსნიდა. და მართლაც, მან სავსებით გაამართლა ეს იმედი. მისი ძლიერი ჭკუით, უმაგალითო გამბედაობით და ბრძნული ტაქტიკის წყალობით ქვეყანა გადარჩა და დამკვიდრდა დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც ალტაცებაში მოჰყავდა შინაურებთან ერთად — უცხოელებიც. და აი სწორედ ეს არის ის ხელთუქმნელი ძეგლი, რომელიც არას დროს არ დაავიწყებს შთამომავლობას ნოე ჟორდანიას ვინაობას.

ბოროტ მტერს შეშურდა ჩვენი ქვეყნის ბედნიერება, შემოესია და დაიპყრო. ნოე ჟორდანია უცხოეთში გამოიხიზნა. აქ მან თავის ქვეყნისათვის მუშობას შეალია მთელი თავისი ძალა და ენერგია და ამავე დროს აწარმოვა შეუწყვეტელი ბრძოლა ევროპის ილუზიების წინააღმდეგ, რათა დაეჯერებია საზოგადოებრივი აზრი წითელი მოსკოვის იმპერიალიზმში და კომუნისტური რეჟიმის რეაქციონური ხასიათში. და თუ დღეს ეს აზრი სავსებით გაზიარებულია და შეთვისებულია, ამაში უდიდესი წილი უდევს ნოე ჟორდანიას და მისი ეს მუშაობა, ეჭვი არაა, დიდ ისტორიულ დამსახურებათ ჩაეთვლება არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშე. დაღლილ-დაქანცულმა თავის ქვეყნის სამსახურით, 1953 წ. 15 იანვარს, მან სამუდამოთ მოისვენა ვანვის სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ი დ ი ნ ო ე

მოსქდა ურყევი მუხა. დავკარგეთ ნოე ჟორდანია. დადუმდა დაუღალავი, ჯადოსნური კალამი. წყვდიადით დაიბურა დაუშრეტი გონება ამ ნახევარი საუკუნის წინ ქართველი ერის თავისუფლების და სიმართლის შუქურად რომ მოევლინა. ის დაიბადა მისი ხალხის სამსახურისთვის; ის წმინდა სანთელივით დადნა ამ მისიის აღსრულებაში, ჩვენ მის კალთებში გამოზრდილით, მისი საისტორიო ბრძოლის ეპიზოდში მონაწილეულით, საქართველოს მომავალი თავისუფლების გარანტიად მისი ფიზიკური უკვდავება გვესახებოდა, საქართველოს თავისუფლება სრულქმნილი გახდებოდა ოდეს მ ო ხ უ ც ი ნ ო ე თავისი ერის წინაშე წარსდგებოდა, ანგარიშს ჩააბარებდა და დასვენების ნებას გამოითხოვდა, რათა თავისი შ რ ო მ ი ს ნაყოფით ღრმა მოხუცების დღეებში დამტკბარიყო. ჩვენმა ბედმა ეს არ ინება. ჩვენს ახალგაზრდულ სწრაფვას ჩამოსცილდა ერთი სიმი, მისი ცოცხალი ემბლემა, მაგრამ დარჩა რწმენა. მისი საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება. მისი ერი დამოუკიდებლობას აღიდგენს, მაგრამ აღარ გვრჩება საშუალება, დიდი ნოე სასახლეში ზეიმით მოვაცილოთ და მადლიერი ერის ჩავაბაროთ. სასახლის მაგიერ მას ძველი ბუმბერაზთა პანთეონი მიიბარებს. ხოლო ჩვენ კი გადამწყვეტ მომენტში ობლად ვრჩებით. მისი საქმე დაბოლოების უახლოვდება, მაგრამ მისი დადუმება ქმნის ამოუვსებელ სიცარიელეს. მისი ამოვსება საუკუნოების საქმეა. ბუმბერაზები ისტორიაში განგების იშვიათი საჩუქარია. მის მიერ გათელილი გზა ნ ა თ ე ლ ი ა, გარკვეული მიმართულებით მავალი. ჩვენ გვწამს, რომ იგი მიზანთან მიგვიყვანს, მაგრამ ტაქტიკა, ალღო, სტრატეგიული მიხვევ-მოხვევა, შეუდრეკელი წინსვლა, საჭირო დროს უკან დახევა—ყოველივე ამას ვინღა გვასწავლის? ბნელ ბილიკებს ვინ გაგვინათებს? მისი აჩრდილი, მისი სიყვარული, მისი გენია და მამულიშვილური დანაბარები.

დიდი ადამიანის გზა, ბრძოლა, აზრი მუდამ მარტივი და ნათელია. ეს სინათლე გაარღვევს ჩვენს გარშემო დაგროვილ ბურუსს. მისმა მჭრელმა გონებამ და გენიალურმა ტაქტმა ქართველ ერს ბევრი ხიფათი ააცდინა. მისი ლამპარი კვლავინდებურად გაანათებს ეკლიან გზას.

ეს ფენომენალური ინტუიციის ადამიანი, მუდამ გონება-ნათელი, მდგომარეობას მყისვე დაეუფლებოდა და მალამოს მოუძებნიდა. სწორედ იმ დროს მოევლინა იგი ქართველ ერს, როცა მისი მოვლინება აუცილებელი იყო. ასეთია ზოგჯერ განგების საკვირველი გადაწყვეტილება.

მე-16 საუკუნიდან დაწყებული საქართველო მუდამ ეძებდა დასავლეთ სამყაროსთან კავშირს და ურთიერთობას; მისი იდეალი ვერ თავსდებოდა მუსულმანური გარემოცვის ჩარჩოებში მუხთალმა ბედმა მისი ლტოლვა აღკვეთა და იგი მე-18 საუკუნეში რუსულ იმპერიალიზმის მსხვერპლი გახადა.

მესამოცე წლების მოღვაწეთა ოცნება—დასავლეთის იდეებთან დაახლოვება, მათი საშუალებით ერის ამოძრავება და თავისუფლების გზაზე გამოსვლა იყო. ამ დროს გამოჩნდა ნოე ჟორდანია, ევროპიული ცოდნით, იდეებით და ბასრი მებრძოლი კალმით. უცხოეთში შეძენილი იდეები მან ქართულ ნიადაგზე დამყნა, ქართული წვენით შეაზავა და ხალხს მიაწოდა. ქართლ-კახელი, იმერელი, სვანი და რაჭველი, მეგრელი და გურული გლეხი მარქსისტი არ იყო, „კაპიტალის“ არ იცნობდა, მაგრამ ნოე ჟორდანიას მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ს ხარბად დაეწაფა, მის ნაკვალევში ჩ ა დ გ ა. ამ მოძღვრების გასწვრივ მოაჩანდა მისი აღდგენის ციმციმა ვარსკვლავი. ეს იყო ნოეს მოღვაწეობის სიდიადე, მისი ალღო, მისი გენია. ამავე გენიის ცეცხლით აამოძრავა მან სოც.-დემოკრატიული პარტია და ქართველი ხალხი. შთააგონა იმედი, გამოზარდა ქართველი ადამიანი, შთააგონა მისი ღირსეულება და შეაყვარა თავისუფლება.

დაინგრა რუსეთის იმპერია და ამ ნანგრევებზე ანაზდეულად გამოანათა 26 მაისის მზემ.

მოკვდა ის თავისი სამშობლოდან შორს. ვერ მოესწრო ისევ ენახა ის. მაგრამ გაივლის დრო, ტირანია გაქრება, საქართველო ისევ აღსდგება, დამყარდება თავისუფლება, გაჩაღდება შემოქმედებითი მუშაობა ახალი თაობისა და ეს თაობა თავის იდეურ ძიებაში და პრაქტიკულ საქმიანობაში დაეყრდნობა ნოე ჟორდანიას ძირითად იდეებს, გაიხსენებს მის მრავალ ნაირ მოღვაწეობას, ისწავლის მისგან ბევრ რამეს და მადლიერი უკვდავ ყოფს მის სახელს...

**გრ. ურატაძე.**

ნოე ჟორდანია ა უ ჩ ქ ა რ ე ბ ლ ა დ, მოთმინებით, თავდასხმების მიუხედავად უყრიდა საძირკველს მომავალ ეროვნულ სახელმწიფოს; გახდა მისი მამა, მისი პირველი და უდავო პრეზიდენტი. ჩვენი ქვეყნის მემატიანე მას მიუჩენს საპატიო ადგილს ერის დიდ მოღვაწეთა შორის.

ჩვენ კი დავრჩით ობლად, უჭირისუფლოდ, მაგრამ არა იმედ-დაკარგულნი. ჩვენ დიდის სიყვარულით გავყვებით მის მიერ ნაკაფ გზას ბოლომდე, გამარჯვებამდე. გვწამს, რომ ის მუდამ ჩვენთან იქნება და იდუმალ რჩევებით წინ გაგვიძღვება. გულში კი დაგვრჩება ბოღმა უსაზღვრო, გაუთავებელი.

ამ დიდ ადამიანს, ბრძოლისათვის დაბადებულს და ბრძოლებში დაღლილს არ მიეცათ მოსვენების საშუალება. მის ჩარევას ვეძებდით და მოვითხოვდით ყველგან და ყველაფერში. ის ტკბილი და სათნო იყო კერძო დამოკიდებულებაში, უწყინარი და დამთმობი, არასდროს საყვედური უდროოდ შეწუხებისათვის. მისი დაუზარებელი კალამი მოუსვენრად დარბოდა თეთრ ქაღალდზე დიდი იდეების მარტივი, ორიგინალური სტილით გადმოსაცემად. დაუნდობელი იყო იგი პრინციპიალურ შედავებაში და ამ დროს მისგან ვერც მეგობრულ, ვერც მამაშვილურ სითბოს ვერ იგრძნობდით.

ამ ადამიანმა იმ თავითვე აიკრძალა მომაკვდავი ადამიანის ცხოვრებით არსებობა. არსი იყოფა ორ ფენომენად: სამყაროს გრძნობის, სამყაროს გონების. ეს დუალისტური ყოფნა ქმნის ცხოვრების შინაარსს და სიტკბოებას. ნოემ ჩაჰკლა გრძნობა, დიდ საქმეს დიდი მსხვერპლი დასჭირდა. ამიტომ მისი შინაგანი არსი ორმაგი ჯაფის სიმძიმეს განიცდიდა. ასე გაილახა კეთილშობილი გული. იგი სამუდამოდ შეჩერდა. ბუნებას თავისი ულმობელი კანონი აქვს. ადამიანი საბოლოოდ თავის ელემენტს უნდა დაუბრუნდეს, მაგრამ დიდი ნოეს განშორება მაინც დიდი უსამართლობაა.

საქართველოს თავისუფლების აღდგენა წაშლის ამ უსამართლობას და მადლიერი ერი მიუჩენს მას ადგილს თავის უკვდავ შვილთა შორის.

ვ. ინწკირველი.

5 თებერვალი 1953 წ.
პარიზი.

## სტალინური კონსტიტუცია და საბჭოთა ცხოვრების სინამდვილე

საბჭოთა ხელისუფლება პოლიციურ ტერორზეა აშენებული და **ძალა - უფლება ძალით უფლების** ნამდვილი განსახიერებაა მისთვის.

ტერორი მუდმივად მძვინვარებს იქ, მაგრამ თავისი მასშტაბით ის სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა სახეს ღებულობს.

1936 – 37 წლების ტერორი ამ მხრივ მით არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ ერთის მხრივ იგი შეეხო საზოგადოების ყველა ფენებს და მეორეს მხრივ მან აშკარად მიიღო ხასიათი ხალხთა მასიური განადგურებისა. თუ მანამდე მართლ-მსაჯულების კარიკატურა მაინც არსებობდა ამ ჯერად შინსახკომმა ნიღაბი გადიძრო და აშკარად გამოაჩინა თავისი მახინჯი სახე. მიუხედავად სტალინის მიერ საჯაროდ განცხადებისა: „საბჭოთა კავშირში ყველაზე ძვირფასი კაპიტალი ადამიანია“-ო, ადამიანის სიცოცხლე გროშადაც ფასობდა და მას სწორედ გროშებივით ჰფანტავდენ. საქართველოში ყოველ დღიურად ათასობით აპატიმრებდენ და რამოდენიმე თვის წამების შემდეგ გაუსამართლებლად ციმბირისა და შორეული აზიის საკონცენტრაციო ბანაკებში მიერეკებოდენ. ერთი წლის განმავლობაში მოხსნილი იქნენ და დაპატიმრებული მთავრობის წევრთა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა. მათთან ერთად ყველა ისინი, ვისაც მათთან სამსახურობრივი, ნათესაური ან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. დაპატიმრებული იქნენ: პარტრაიკომების პირველი, მეორე, მესამე და ხშირად მეოთხე და მეხუთე მდივნები. სარაიონო, საქალაქო და სოფლის საბჭოს თავმჯდომარეები. უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს და ყველა უმაღლესი სკოლების რ ე ქ ტ ო რ ე ბ ი, პრორექტორები და უმრავლესობა ფაკულტეტების დეკანებისა. პედაგოგიური - საინჟინერო - აგრონომიური და საექიმო კადრების 30-დან 40 პროცენტამდე დაპატიმრებული და გადასახლებული იქნა, რომელთა მაგივრადაც ინიშნებოდენ ახალგაზრდა, გამოუცდელი და არა კვალიფიციური კადრები. რის გამოც არა ჩვეულებრივი არეულობა სუფევდა საბჭოთა მეურნეობის ყოველ დარგში.

თვით ბერია, ამ დროს საქართველოს კომ. პარტიის გენერალური მდივანი, გოგლიძეს ჟენ-

29711
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

და უმადლოდეს სიცოცხლეს (და აკი დაუმადლა კიდეც, კრემლში როცა გადაბარგდა გოგლიძეც თან გაიყოლია). გოგლიძემ არ შეასრულა ეჟოვის ბრძანებანი ბერიას დაპატიმრების შესახებ და ამ უკანასკნელს საშუალება მისცა სტალინის კალთებისათვის შეეფარებინა თავი. სტალინმაც, როგორც ჩანს არ დაივიწყა მისი რევოლუციური წარსულის გამზიარებელი, შეიწყნარა და შემდეგ კიდევაც დააჯილდოვა. მას ჩააბარა ეჟოვის თანამდებობა, ხოლო თვით ეჟოვს მთელი იმ ხოცვა-ჟლეტის და აწიოკების პასუხისმგებლობა დააკისრა.

ამ საერთო აურ-ზაურისა და უსამართლობის პირობებში საბჭოთა ხელისუფლებამ ქვეყანას ახალი კონსტიტუცია უწყალობა. იგი მაშინვე მონათლეს „სტალინურ კონსტიტუციად“, და არწმუნებდნენ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით იქნა შემუშავებულიო.

საბჭოთა რეჟიმის თეორიულ დოგმატებსა და პრაქტიკას შორის მუდამ არსებობდა უფსკრული, მაგრამ ამ ჯერად მან ტრაგი-კომიკური ხასიათი მიიღო.

ყველა საბჭოთა მოქალაქის თანასწორ-უფლებიანობა, პიროვნების ხელ-შეუხებლობა. მუხლებს აგვირგვინებდა თვით საბჭოთა ქვეყ-პროფკავშირების თავისუფლება, გაფიცვების უფლება და მრავალ სხვა ღირს-შესანიშნავ მუხლებს აგვირგვინებდა თვით საბჭოთა ქვეყნის განსაზღვრა: „საბჭოთა სოც. რესპ. კავშირი წარმოადგენს დამოუკიდებელ საბჭ. რესპუბლიკების ნება-ყოფლობით კავშირს, რომლიდანაც ყოველ მათგანს უფლება აქვს ნებაყოფლობით გამოსვლის, თუ კი ის ამას მოისურვებს.!

ამაზე უფრო შორს არა მგონია, როდესმე წასულიყოს ხელისუფლების ცინიზმი. ის არამც თუ რეალურ საბჭოთა ცხოვრებას არ ასახავდა, არამედ მისი სრული ანტიპოდი იყო. იგი ისევე საოცნებო იყო საბჭოთა მოქალაქისათვის, როგორც ედემის ბაღი საჰარის უდაბნოს ბინადარისათვის.

საბჭოთა კონსტიტუცია ისტორიაში დარჩება, როგორც ფანტაზია მისი შემოქმედისა, მოკლებული ყოველგვარ რეალობას და რომლის ცხოვრებაში გატარება შეუძლებელია პოლიციურ ტერორზე აგებულ რეჟიმისათვის. მას არ შეეძლო საბჭოთა მოქალაქის შეცდომაში შეყვანა, მაგრამ სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიებისათვის საუკეთესო იარაღი იყო ფართო მასების მოსატყუებლად.

ამ დროს ვანის რაიონში საშუალო სკოლის მასწავლებლად ვმუშაობდი. ყველა მასწავლებლები მობილიზებული ვიყავით გლეხობისათვის კონსტიტუციის შესასწავლად. გლეხობაში ყველაზე მეტად არის დარჩენილი მკვირცხლი იუმორი და სამართლიანი ქირდვა ხელისუფლების, რომელსაც ისინი მოხერხებულად ჰფარავენ უცოდინარობის საფარქვეშ. ხშირად ისეთ კითხვებს გვისვამდნენ, რომ პასუხის გაცემა შეუძლებელი იყო ან უხერხული მისთვის, ვინც ცოტათი მაინც თავის სიტყვას პატივს სცემდა. ერთ კვირა დღეს სარაიონო შეკრება იყო დანიშნული ახალი კონსტიტუციის პროპაგანდისტების. მოხსენება გააკეთა პარტრაიკომის მდივანმა ბრეგვაძემ . ეს ბრეგვაძე მეოთხე იყო რიცხვით, მის წინ ერთი წლის განმავლობაში სამი გამოიცვალა რაიკომის მდივნობიდან და სამივე დატუსაღებულ იქნენ როგორც ხალხის მტრები ტროცკისტ-ზინოვიევლები. რაიკომის მდივანი პატარა სტალინია რაიონში; ის განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობს მისი ხელქვეითების მიმართ და შეუძლია მათი როგორც დალუპვა, ისე აშენება.

მოხსენების შემდეგ შეკითხვები გამოცხადდა და მეც ახალგაზრდული გულუბრყვილობით მივეცი კითხვა ერთ-ერთი ჩემთვის ბუნდოვან მუხლის შესახებ, რომელიც არჩევნებს შეეხებოდა: კონსტიტუციის თანახმად ამომრჩეველის მოვალეობაა დასტოვოს ერთი კანდიდატი, ხოლო ყველა დანარჩენი წაშალოს... მაგრამ ვინაიდან მხოლოდ ერთი კანდიდატია წამოყენებული „პარტიისა და უპარტიოთა ბლოკის“ მიერ ნორმალურად წასაშლელი აღარაფერი რჩებოდა. კითხვა ჯერ კიდევ დამთავრებული არ მქონდა, რომ მთელი ძალით და ღონით დასჭექა: „როგორ ბედავ ასეთი კითხვის დასმას. ეს ნამდვილი კონტრ-რევოლუციური გამოსვლაა“-ო. სიტყვა პირში გამეჩხირა... სიბრაზისა და შიშისაგან სისხლი ამივარდა თავში. მინდა თავი ვიმართლო, ჩემი კითხვა დავასაბუთო... ბრეგვაძემ მუშტი დაჰკრა მრისხანედ და დაიღრიალა: „ვინ ხარ შენ? „რა გვარი ხარ?“-...

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ირგვლივ მიმოვიხედე. მთელი დარბაზი მე მიცქერის, როგორც ზოოლოგიურ იშვიათობას.

მეგობრების თვალებში აშკარად ვკითხულობ: „შე საწყალო როგორ დაიღუპე თავი“.

კრება დამთავრდა. გარედ სუფთა ჰაერი ღრმად შევისუნთქე. კრებაზე მეგობრებით გარშე-

მოხვეული მოვედი, ეხლა მარტო ვარ... სრულიად მარტოდ. ჩემს ირგვლივ ადამიანთა ნამდვილი სიცარიელეა... არ ვიცი რამ მიშველა, მაგრამ ამ ინციდენტს შედეგი არ მოჰყოლია.

უზენაეს საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების მიმდინარეობას. უზენაეს საბჭოს დელეგატად ფილიპე მახარაძეა ჩვენს რაიონში წამოყენებული, ეროვნებათა საბჭოში ერთი უფრო ნაკლებად ცნობილი კომუნისტი, მაშასადამე გინდა თუ არა ხმა მათ უნდა მისცე; მოწინააღმდეგე კანდიდატები არ არსებობენ. საარჩევნო პუნქტი სადღესასწაულოდ არის მორთული. ყველა გაფრთხილებულია აუცილებლად მოვიდნენ და ხმა მისცენ. ღრმა მოხუცებულები და ავადმყოფები მანქანებით მოჰყავთ.

მეც შევდივარ ხმის მისაცემად და აქაც „უდიდესი მარცხი მომივიდა“: წესის თანახმად ფანჯრები უნდა იყოს ხმის მისაცემ ოთახში, რომ ამომრჩევლებმა ისარგებლონ. მეც რადგან ფანჯარა არ აღმომაჩნდა მოვითხოვე საარჩევნო კომისიის წევრის. „რათ გინდა ფანჯარა“ მიპასუხა მან და ისეთი თვალებით შემომხედა, რომ გონზე მოვედი და მივხვდი თუ „რა დიდი დანაშაული ჩავიდინე“. მის თვალისწინ სასწრაფოდ გავეშურე და საარჩევნო ბიულეტენი ისე ჩავაგდე ყუთში, რომ არც კი წამიკითხავს. მთელი დღე არ მასვენებდა ფიქრი, ვაი თუ ვინმემ წაშალოს და მე დამაბრალონ მეთქი. მართლაც ერთ ბიულეტენზე ფილიპე მახარაძის გვარი წაშლილი აღმოჩნდა. შეიქნა ძიება, სირბილი და ჩემდა საბედნიეროდ სწრაფად აღმოაჩინეს ამ „საშინელი დანაშაულის“ ჩამდენი მოხუცი სრულიად უსწავლელი ქალი გამოდგა, რომელმაც განაცხადა: „მე დამარიგეს ერთი კანდიდატის გარდა, ყველა უნდა წამეშალა და ვინაიდან ორი იყო მეც ერთი წავშალე და მეორე დავტოვე“-ო.

ადვილი მისახვედრია, რომ მხოლოდ ჩეკისტის ფხიზელ თვალს შეეძლო ამ „ინციდენტის“ დანახვა. ასეთი ფხიზელი თვალები უთვალთვალებენ ყველა საარჩევნო პუნქტებში. იციან ეს ამომრჩევლებმა და ამიტომ „პარტიისა და მის თანამგზავრთა ბლოკის“ კანდიდატებს ხმას აძლევს 99 და ხშირად 100 პროცენტი.

**შურდული.**

---

# პიროვნების თავისუფლება

## II

### უფლებრივი ინდივიდუალიზმი:

შტირნერი და ნიცშე თვით გრძნობდენ, რომ თანამედროვე პიროვნება საზოგადოებას ვერ ასცდება, რომ მას არ შეუძლია განცალკევებული ყოფნა, რომ მას სხვებთან ერთი-ერთობა და კავშირი სჭირს.

„კომპანიონებს, ვინც ვის დაეძებს შემომქმედი“ ამბობს ნიცშე. მართალია ეს კომპანიონები რჩეული ხალხია; ისინი ისეთივე შემომქმედნი და ახალ ღირებულებათა შემქნელნი არიან, როგორც თვით იგი; მაგრამ რჩეულთა, თუნდაც ღირსებითა და ნებისყოფილობითა, საკუთარი ეგოისტური მიზნისთვის შექმნილი ჯგუფი მაინც საზოგადოებაა; და რადგანაც შემომქმედი მუდამ კომპანიონებს დაეძებს და მათთან კავშირშია, პიროვნება საზოგადოებას ვერ ასცდება, იგი მუდამ მის წრეშია.

ეს კი მოითხოვს ამ ადამიანთა ურთიერთობის მოგვარებას და მართლაც როგორ შეიძლება რამდენიმე ადამიანის ერთად ყოფნა, თუ კი წინასწარ უზრუნველყოფილი არაა მათი ერთად არსებობის და ერთად ყოფნის შესაძლებლობა?

ავიღოთ პიროვნება თუ აბსოლუტია, იგი სხვა აბსოლუტებთან ურთიერთობაშია; მაშასადამე იგი იძულებულია გამოარკვიოს, თუ რა პირობებშია შესაძლებელი მისი აბსოლუტობის ისე შენახვა, რომ მას არაფერი მოაკლდეს და ამავე დროს იგი სხვებს შეეგუოს.

პიროვნების თავისუფლების ამგვარი გადაჭრა სცადეს უფლებრივმა ინდივიდუალისტებმა: რუსომ, კანტმა, სპენსერმა და საერთოდ ლიბერალებმა;

საკითხის ამგვარ გადაჭრას იძლევა აგრეთვე საფრანგეთის რევოლუციის „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“.

რუსო ნათლად აღნიშნავს, რომ საზოგადოებაში შესვლით პიროვნება ჰკარგავს თვისი თავისუფლების ერთ ნაწილს; მაგრამ მაგიერში, მისი აზრით, იგი მშვიდობიანად ცხოვრების და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუბრკოლებელი განვითარების შესაძლებლობას იძენს.

„მართალია, ამბობს იგი, პიროვნება აქ ჰკარგავს ბევრ უპირატესობას, რომელიც მას ბუნებამ მიანიჭა, მაგრამ სამაგიეროთ იგი იძენს სხვებს ასეთივე მნიშვნელოვანით: მისი ნიჭი მოქმედებაში მოდის და ვითარდება, მისი იდეები ფართოთ იშლებიან, მისი გრძნობები კეთილ - შობილი ხდებიან, მთელი მისი სული მაღლდება... პიროვნება გამუდმებით უნდა ლოცავდეს იმ წუთს, რომელმაც ადამიანი (საზოგადოებაში შესვლით) პრიმიტიულ მდგომარეობას მოგლიჯა და იგი, რეგვენი და ვიწრო გონების ცხოველი, გონებრივ არსათ და ადამიანათ გარდაქმნა“.

რუსო აღნიშნავს მთელ რიგ ღირსშესანიშნავ ცვლილებებს, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებას ადამიანის არსებაში შეაქვს: რომ ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრების ზეგავლენით მხოლოთ თავისი ინსტიქტების კარნახით, როგორც პირუტყვი, აღარ მოქმედებს; რომ იგი სამართლიანობის და მორალის ცნებებს იძენს; რომ უფლება მის შეგნებაში ფიზიკური ძალის ხმარებას სცვლის, რომ გონება ცხოველურ მიზიდულებებს იმორჩილებს და იქვემდებარებს.

რუსო და საერთოთ ყველა უფლებრივი ინდივიდუალისტები ჰფიქრობენ, რომ პიროვნების და საზოგადოების მორიგება შესაძლებელია: საამისოთ საჭიროა მხოლოთ საზოგადოების სათანადო მოწყობა.

რუსოს „საზოგადოებრივი კონტრაქტი“-ს მიზანიც სწორედ ისაა, რომ გვასწავლოს, თუ როგორ მოხერხდება „ასოციაციის ისეთი ფორმის გამონახვა, რომელიც თვითეული წევრის პიროვნებას და ქონებას საერთო ძალისაგან დაიცავს და უზრუნველჰყოფს და რომელიც თვითეული წევრის სხვებთან დაკავშირებას ისე მოახერხებს, რომ იგი მხოლოთ საკუთარ პიროვნებას ემორჩილებოდეს და თავს ისევე თავისუფლათ გრძნობდეს, როგორც იგი კავშირში შესვლამდე იყო“.

საზოგადოების სიკეთის და მისი ღირებულების აღიარებით უფლებრივი ინდივიდუალისტები რუსოსთან ერთად არ ივიწყებენ პიროვნების თავისუფლების უაღრეს მნიშვნელობას: მათთვის პიროვნება საზოგადოებრივი ცხოვრების მიზანი და მისი შემოქმედია; მათთვის საზოგადოებაში ყველაფერი პიროვნებით იწყება და ყველაფერს მიზნათ პიროვნების თავისუფლება და მისი კეთილდღეობა აქვს.

„საკუთარ თავისუფლებაზე უარის თქმა, ამბობს რუსო, ნიშნავს ადამიანობაზე ხელის აღებას“.

ამის მიხედვით, უფლებრივი ინდივიდუალისტების გაგებაში პიროვნების თავისუფლების პრობლემა თავისუფალ ინდივიდთა ერთად არსებობის მოგვარების პრობლემაა;

მათთვის თქმა: „ყოველი ადამიანი თავისუფალია“ ნიშნავს არა მარტო „მე თავისუფალი ვარ“, არამედ „სხვებიც თავისუფალი არიან“.

პიროვნების თავისუფლებას მათთვის გარკვეული არე აქვს შემოსაზღვრული; ამ არეში ინდივიდს ვერავინ შემოეჭრება და ვერ შეზღუდავს მას; აქ თვითეული პიროვნება სხვებისთვის შეუვალია; მაგრამ თვით იგიც ამ ზღვარს ვერ გასცდება და სხვისი თავისუფლების სფეროში ვერ შეიჭრება;

რადგანაც საზოგადოების თვითეულ წევრს იგივე უფლებები უნდა ჰქონდეს, რაც სხვებს, ადამიანები უფლების მხრივ თანასწორი უნდა იყვენ.

ადამიანთა თანასწორობა რუსოს ძირითადი საზრუნავი საგანია; მისთვის მთელი წყობა საზოგადოებისა, ყველა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ზომები იქითკენ უნდა იყვენ მიმართული, რომ თანასწორობა რაც შეიძლება უკეთესათ დაცულ იქნას.

„მოქალაქეთა შორის დადებული სოციალური პაქტის მიერ დამყარებული თანასწორობა ჰგულისხმობს, რომ ყველა მოქალაქენი ერთ და იმავე პირობებში იქნენ ჩაყენებული და რომ ყველა ერთ და იმავე უფლებებით სარგებლობდენ“.

ეს ზრუნვა თანასწორობის დაცვისა იმდენათ დიდია, რომ რუსო მუდამ იმის ცდაშია, რომ პიროვნებათა თავაშვებულობა, თვითნებობა, სხვების დაჩაგვრის და დამონების შესაძლებლობა მოსპოს.

საამისოთ იგი მხოლოთ ერთ რამეს პოულობს: დაქვემდებარებას.

იგი ამბობს: „თავისუფლება წარმოუდგენელია თანასწორობის გარეშე; თანასწორობა კი შეუძლებელია იქ, სადაც საზოგადოების ყველა წევრები ერთგვარათ დაქვემდებარებული არ არიან“.

რუსო ჰფიქრობს, რომ ადამიანი სოციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაქტის დადებამდე უსაზღვროთ თავისუფალი იყო; ამ პაქტის შეკვრის დროს თვითეულმა ადამიანმა ყველა თავისი უფლებები საზოგადოებას გადასცა, რომ შემდეგ თვითეულ მათგანს საზოგადოებისაგან **თანაბარი** და **მსგავსი** უფლებები მიეღო; აქ პიროვნება ისე იქცევა, როგორც მილიონერი, რომელიც კოოპერატიულ წრეში შედის: იგი მთელ თავის ქონებას საერთო ფონდს აძლევს, რომ შემდეგ ამ საერთო ფონდიდან მიიღოს სწორედ იმდენი, რამდენიც თვითეულ სხვა წევრებს თანაბრათ ეძლევა.

ამიტომ დღეს უფლებათა წყარო საზოგადოებაა და არა პიროვნება;

„კერძო პირებს რომ დარჩენოდათ უფლებების ერთი ნაწილი, მაშინ მათ აღარ ეყოლებოდათ მეთაური, რომელიც არბიტრის როლს შეასრულებდა... ამ შემთხვევაში თვითეული პიროვნება, ასე ვსთქვათ, თავის საკუთარ მსაჯულათ გამხდარი, მოინდომებდა ყველა სხვების მსაჯულათ გახდომას... და ასოციაცია აუცილებლათ ტირანიული და ფუჭი გახდებოდა“.

ეხლაც ადამიანი საზოგადოების წინაშე აბსოლუტურათ თავისუფალიც არის და დაქვემდებარებულიც: ყოველი პირველი აქტი თავისუფალია; ამ აქტიდან გამომდინარე შედეგები კი დამოკიდებულნი.

პიროვნება უსაზღვროთ თავისუფალია იმდენათ, რამდენადაც იგი თვით ირჩევს და აარსებს საზოგადოების სხვადასხვა ორგანოებს და ამ ორგანოების წევრებს: იგი აქ სრულიათ თავისუფალია იმოქმედოს თავისი საკუთარი სურვილების და შეგნების მიხედვით: იგი აარსებს ისეთ ორგანოებს, რომლებიც მას მოსწონს; იგი ირჩევს ამ ორგანოების ასამოქმედებლათ მხოლოთ იმათ, ვინც მას სურს და მოსწონს.

აქ პიროვნება სრული ბატონია: არაა არც ერთი ისეთი ინსტანცია, რომელსაც შეეძლოს მისი შებორკვა და დაბრკოლება.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ორგანოები დაწესებული არიან და მათი წევრები არჩეული, კერძო პიროვნებები ამ ორგანოებს უსაზღვროთ ემორჩილებიან. ეს ორგანოები პიროვნებათა უფლებების, ყველა უფლებების ნამდვილი მეპატრონე ხდება და თვითეულ ადამიანს ისეთ იურიდიულ სტატუტს ანიჭებს როგორც ამას თვით ეს ორგანოები საჭიროთ დაინახავენ, იმ აზრით, რომ ერთ პიროვნებას მეორეზე მეტი არ მიეცეს და რომ ყველანი კანონის წინაშე თანაბარი იყვნენ.

ეს ორგანოები, კერძო პირთა საერთო სიბრძნის გამსახიერებელი, უკეთ ხედავს, თუ რაა საჭირო თვითეული პიროვნებისათვის.

და ამდენათ საზოგადოება, ანუ უკეთ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც კანონმდებლობს, და რომელსაც რუსო სუვერენს უწოდებს, პიროვნებათა საუკეთესო დარაჯი და მზრუნველია.

სუვერენი თვით პიროვნება არ არის; მას კერძო ეგოიზმი არ ამოქმედებს; ამავე დროს იგი პიროვნებათა მიერ არჩეულია და მათი საერთო ნების გამოხატულებაა; ყოველმა კერძო პიროვნებამ უშიშრათ და უპირობოთ უნდა მიენდოს მას: მისთვის ყველა თავისი უფლებების გადაცემით და მისთვის უსაზღვროთ დამორჩილებით იგი არაფერს ჰკარგავს, რადგანაც სუვერენი, მიუდგომელი არბიტრი, მსაჯული და კანონმდებელი, მას მიანიჭებს საკმაო უფლებებს; სუვერენისათვის დამორჩილებით ადამიანი თავის საკუთარ თავს ემორჩილება, ვინაიდან სუვერენი, მის მიერ არჩეული მის სურვილთა ემანაციაა.

შეიძლება ამ დებულებაში ერთგვარი სიმართლეც იყოს და ამდენათ რუსო სიმპატიის ღირსი იყოს; მაგრამ შეუძლებელია ადამიანში რუსოს მიმართ ერთგვარი უნდობლობა არ აღიძრას, როცა იგი გაეცნობა იმ ფართე პრეროგატივებს, რომლებსაც იგი სუვერენს ანუ სახელმწიფოს ანიჭებს.

მართალია, პიროვნებანი სუვერენს სრულიათ თავისუფლათ ირჩევენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი არჩეულია, პიროვნებანი მის მიმართ სრულიათ უღონო არიან.

სუვერენი ეუფლება არა მარტო პიროვნების სიცოცხლეს, ძალას და მის საკუთრებას, არამედ მის აზროვნებას და სინდისს.

„სახელმწიფო, ამბობს რუსო, არის მპყრობელი ყველა თავისი წევრების ყოველი საკუთრების, იმ კონტრაქტის ძალით, რომელიც სახელმწიფოში ყოველი უფლების ბაზისია... თუ საერთო ნებამ უბრძანა ვინმეს: „საჭიროა რომ შენ მოკვდე“, იგი უნდა მოკვდეს, რადგანაც მან მხოლოთ სახელმწიფოს შემწეობით იცხოვრა მშვიდობიანათ ამ დრომდე... მისი სიცოცხლე იმდენათ მხოლოთ ბუნების მიერ მისთვის მინიჭებული სიკეთე არ არის, რამდენადაც სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფის მიერ მისთვის **პირობით** ბოძებული საჩუქარი“.

პიროვნების თავისუფლების უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ელემენტი აზრის თავისუფლებაა; რუსო აქაც პიროვნებას განსაკუთრებულ შემთხვევებში სახელმწიფოს უმორჩილებს.

„არის ერთგვარი სამოქალაქო ხასიათის მრწამსი... საზოგადოებრივობის ერთგვარი გრძნობა, რომელიც სუვერენმა უნდა განსაზღვროს. და ურომლისოდ წარმოუდგენელია კარგი მოქალაქეც და ერთგული ქვეშევრდომიც; მართალია სუვერენი ვერავის აიძულებს იწამოს იგი, მაგრამ მას შეუძლია სახელმწიფოდან გააძევოს ის, ვინც მას არ იწამებს... თუ კი ვინმე ამ მრწამსის საჯაროთ მიღების შემდეგ მის საწინააღმდეგოთ იმოქმედებს, იგი სიკვდილით დაისჯება; მან უდიდესი დანაშაული ჩაიდინა: იცრუა კანონის წინაშე“.

სუვერენის დამოკიდებულება მოქალაქისადმი არ არის ბატონის და ქვეშევრდომის ურთიერთობა; სუვერენი რუსოს აზრით არავის იმორჩილებს; მას მხოლოთ სისრულეში მოჰყავს საერთო ნების მიერ გამოთქმული აზრი, ვინაიდან თვით იგი ამ საერთო ნების სრული ასახვაა; თუმცა ხშირათ სუვერენი არ უცდის აზრის გამოთქმას; მან კერძო პირებზე უკეთ იცის, თუ რა მოუხდება ხალხს და რა სურს მას, ვინაიდან საერთო ნება (la volonté générale) და ყველას ნება (la volonté de tous) ერთი და იგივე არ არის და მათ შორის არსებითი განსხვავებაა; „საერთო ნება მხოლოთ საერთო ინტერესებით ხელმძღვანელობს, ყველას ნება კი — კერძო ინტერესებით და იმდენათ ეს უკანასკნელი კერძო ინტერესთა ჯამია“.

ამ განსხვავებას რუსო კიდევ უფრო აღრმავებს, როცა იგი ამბობს: ყველას ნება შეიძლება შესცდეს, საერთო ნება კი არასოდეს“-ო.

ყველას ნება—ბრმა და მრუდეა, რადგანაც ხალხმა ისიც კი არ იცის, თუ რა სურს მას და რაა მისთვის სასარგებლო;

თავისთავათ ხალხს თავისთვის მუდამ კარგი სურს, მაგრამ თვით იგი ამას ყოველთვის ვერ ხედავს... საჭიროა, რომ მას უჩვენონ ის სწორი გზა, რომელსაც იგი ეძებს; საჭიროა, რომ ხალხი დაარწმუნონ იმაში, რომ აწმყოს სარგებლობა და სიამოვნება ხშირათ შორეულ, უფრო ღრმა და მნიშვნელოვან სარგებლობას უნდა შეეწიროს;

„კერძო პირები ხედავენ სიკეთეს, მაგრამ მას ხშირათ გვერდს უვლიან; ხალხს სურს სიკეთე, მაგრამ ის მას ვერ ხედავს...“.

ამრიგათ „ხალხი ბრმა მრავლიანობაა (multitude aveugles მას მეგზური სჭირია, რომელიც ასწავლის მას, თუ რა სურს ხალხს“.

მართალია, რუსო მუდამ იმეორებს, რომ კერძო პიროვნება მუდამ კერძო, ეგოისტური მიზნებს ისახავს და მუდამ საერთო ნების საწინააღმდეგოთ მოქმედებს; მაგრამ მას მაინც შესაძლებლათ მიაჩნია ხალხის და საერთო ინტერესების კერძო ინდივიდის კანონდებლობისათვის დაქვემდებარება, თუმცა იგი შენიშნავს, რომ ეს პიროვნება უბრალო - ჩვეულებრივი პიროვნება კი არაა, არამედ მაღალი ბუნების მქონე ზე - ადამიანია, უმაღლესი ინტელექტით დაჯილდოვებული.

ყოველივე მოქალაქე ვალდებულია სუვერენს დაექვემდებაროს, ყველა მისი რჩევები და ბრძანებები აასრულოს; იგი ვალდებულია დაადასტუროს ყველა კანონები, ისეთებიც, რომლებიც მის სურვილებს ეწინააღმდეგებიან, ის გარემოება, რომ ადამიანი განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოვრობს ავალებს მას ამ ტერიტორიის სუვერენისათვის დაქვემდებარებას;

„თუ სოციალური პაქტის დადების შემდეგ აღმოჩნდებიან ოპოზიციონერები, ამ პირთა ოპოზიცია არ არღვევს თვით კონტრაქტს: იგი მხოლოთ იმას ეწინააღმდეგება, რაც კონტრაქტის მიერ იგულისხმება. ეს **პირები უცხოელები ხდებიან მოქალაქეთა შორის**“.

ჩვენ დარწმუნებული ვართ და თვით ტონი წიგნისა იმას გვიდასტურებს, რომ ამ აზრების გამოთქმის დროს რუსოს სწორეთ პიროვნებათა თავისუფლება, მათი თანასწორობა და მათი კეთილდღეობა ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ ეს ხელს არ უშლის სხვადასხვა დესპოტებს და აღვირახსნილ ტირანებს, რომ იმათმა რუსოს უკანასკნელი აზრებით თავიანთი მოქმედება გაამართლონ.

ხალხმა არ იცის, თუ რა არის კარგი; მას მეგზური სჭირია და რატომ არ შეუძლია რომელიმე პიროვნებას ან ჯგუფს, სათანადო სამხედრო ძალით გამაგრებულს, გამოაცხადოს, რომ იგი მისწვდა ხალხის სიკეთეს და მის ინტერესებს, რომ იგი საერთო ნების გამომხატველია და ამრიგათ ხელში ჩაიგდოს ყველა ის პრეროგატივები, რომლებიც რუსომ ასე უხვათ სუვერენს მიანიჭა: უფლება თვითეული პიროვნების აზრების, სინდისის, ქონების და სიცოცხლის აბსოლუტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განუსაზღვრელ ბატონ-პატრონათ მოვლენის?

ყოველ თავის უკანონო მოქმედებას იგი იმით გაამართლებს, რომ მას მხედველობაში საერთო, სახელმწიფოებრივი ინტერესები აქვს, რომ კერძო პირები და საერთოთ ხალხი ცდებიან სინამდვილის შეფასებაში.

მის წინააღმდეგ პროტესტის განცხადება არც ერთ პიროვნებას არ შეუძლია; ამ მხრივ პიროვნებას იმ თავითვე ყოველი გზა მოჭრილი აქვს;

რუსო მას ნათლათ ეუბნება: „სუვერენი მხოლოთ იმ ფაქტის გამო, რომ იგი არსებობს, უკვე თავის-თავათ არის ისეთი, როგორიც იგი უნდა იყოს... საერთო ნება მუდამ სამართლიანია და მუდამ საერთო სარგებლობისკენ ისწრაფვის“-ო.

მაგრამ ესეც, რომ არ იყოს, ვისთან შეეძლო ეჩივლა პიროვნებას სუვერენის წინააღმდეგ, იქ, სადაც რუსოსავით ფიქრობენ, რომ „პოლიტიკური ორგანოს ბუნების საწინააღმდეგო იქნებოდა, რომ სუვერენი შებორკილი ყოფილიყო ისეთი კანონით, რომელსაც იგი ვერ გადალახავდა... რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებულიყო რაიმე სახის ძირითადი კანონი სახალხო ორგანიზმისთვის სავალდებულო, არც თვით საზოგადოებრივი კონტრაქტი“.

აქ წონასწორობის და სამართლიანობის სრული დარღვევაა. ერთი მხრივ რუსო პიროვნებას მისი უფლებების მოხმარის ყველა გარანტიებსართმევს, მეორე მხრივ, იგი ანიჭებს სახელმწიფოს არაჩვეულებრივ ძალას, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში თვითნებობის წყაროთ იქცევა;

რუსო ნათლათ ამბობს: „არაა საჭირო სუვერენის ისეთი ორგანოსათვის დაქვემდებარება, რომელიც მოქალაქეთა უფლებების ნორმალური ფუნქციის გარანტია იქნებოდა, ვინაიდან შეუძლებელია, რომ სუვერენმა, მმართველმა ორგანომ ხალხის საზიანოთ მოქმედება მოისურვოს; სახელმწიფოს კი ასეთი გარანტია აუცილებლათ სჭირია: როცა კერძო პირების ინტერესები საზოგადო ინტერესებს დაუპირისპირდებიან, კერძო პირები საერთო ინტერესებს საკუთარს ანაცვალებს, თუ ისინი რაიმე ძალის შიშმა და მორჩილებამ არ გააჩერეს.

საამისოთ სახელმწიფოს, სუვერენს უნდა ჰქონდეს საკმაო ფიზიკური ძალა და მისი მოხმარის უფლება ურჩთა დასათრგუნავათ; ეს ფიზიკური ძალა ხალხის მიერ სუვერენის სრულს განკარგულებაში გადაცემული, არის ის გარანტია, რომელსაც რუსო მისთვის აუცილებელ საჭიროებათ სთვლის.

„სწორეთ ისე, როგორც ბუნება აბსოლუტურ უფლებას აძლევს ადამიანს თავისი სხეულის ყველა ნაწილებზე, სოციალური პაქტიც პოლიტიკური ორგანოს აბსოლუტურ ძალა-უფლებას ანიჭებს ყველა მისი წევრების მიმართ“.

ამრიგათ რუსოს პიროვნების თავისუფლება სახელმწიფოს სამსხვერპლოზე მიაქვს;

ამას შვრება ის რუსო, რომლისთვისაც პიროვნების თავისუფლება უაღრესი ღირებულებაა;

ეს შეწირვა, რასაკვირველია, მას არ სურს, მაგრამ ეს მისი სოფლმხედველობის აუცილებელი შედეგია.

ამ მხრივ სრულიათ მართალია პოლ ჟანე, რომელიც ამბობს: „აბსოლუტური ინდივიდუალიზმს არ შეუძლია შეეგუოს საზოგადოებას ისე, თუ იგი არ გაითქვიფა სახელმწიფოებრივ აბსოლუტიზმში... ინდივიდუალიზმი და სახელმწიფოებრივი აბსოლუტიზმი ძმები არიან“-ო.

(გაგრძელება იქნება)

ა. შათირიშვილი.

## ტანჯულ თანამემამულეებს

ფეხებზე ხუნდი, ენას საკეტი,
ნამგალ-ჩაქუჩზე მიგიკრეს ხელი.
თუ ღმერთმა მშვიდად დღე დაგილოცა
კვლავ გათენებას ეჭვით მოელი.

სიცოცხლე ტანჯვათ გადაგიქციეს,
საიქიოზეც წაგართვეს რწმენა.
ყველა მოგტაცეს რაც რამ გებადა,
სიმართლისათვის მოგკვეთეს ენა.

გცივა ვერ იტყვი, გშივა და სდუმხარ,
ტკივილს და ტანჯვას კურნავ დუმილით,
და როცა გული ბოღმით გევსება
უნდა დაჰფარო მწარე ღიმილით.

ხშირად დუმილიც არ შეგიძლია
„გთხოვენ“ საჯარო გამოცხადებას:
„ჩვენი ვაჟიკო ხალხის მტერია
მოვითხოვ ცოცხლად დასამარებას!“

ვაჰ, რა ყოფნაა ეგ შენი ყოფნა
ცრემლსა და შხამში ამონალესი,
თუ არა ოდენ ბედის ჩივილი
გულის სიღრმიდან ამონაკვნესი.

ქორონიკონი.

პარიზი. 1948.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუხრანბატონიანთ ნასახლარში

## ერთი თავი მოთხრობიდან „მათი ამბავი“

### მინდია ლაშაურისა

„დედაო ღვთისავ! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელიც ამ ხალხს უღვრია
ჩაგრულთ სასოთ, ნუ აარიდებ მოწყალე თვალსა“.

**ილია ჭავჭავაძის „აჩრდილიდან“.**

ზემო ქართლის უმანკო და ზვიადი მთის წვერები ამაყად დაჰყურებენ არაგვის მწვანით მოსილ ხეობას და ამ ხეობის სიმწვანეში ჩაფლულ სოფელს ამერ-ხევს. ამერხევთან ახლოს მწვანე წალკოტად გაშლილა მიდამო ბაზალეთის ნარინარი ტბისა, თავის უფსკრული ძირით, სადაც დიდი მგოსნის ფანტაზია დაეძებდა, უცხოდ მოსულ ყმას, რომლის სახელი არაგვის ეთქმის, და ჩუმი ნატვრითა ყოველი ქართველი დღე-ღამით ნატრულობს კი.

კარგია ჩვენი ქვეყანა, ლამაზად მორთულ-მოკაზმული, გულმკერდა ყვავილებით, მტრედის ფერი ცით, ალუჩის ბაღნარებით მორთული, ზვარ-ვენახით მოოხვილი, ჭრელ-ჭრელა ქვებით და თავის ლბილი ზღვით, მზის სხივებზე მოლაპარაკე მდინარეებით, ვერცხლის ფერად ნაფერნი. ხეთქით და ღრიალით რომ მისრიალებენ ულტეხ ჭალებში და ნაფუზვრებში; ღვთისაგან უხვად მომადლებული, ქრისტე-ღმერთის ხომ ჩვენში დაუბერტყია თავისი უხვი კალთა სიუხვისა და სიჭარბისა. ქეტესას, სოსებას, შაქროს, ვანუას, ილიუას, მიხოს, თამარს, ნუნუს, მინდიას, ელისოს, გახას და მრავალ სხვას აქ უწოვია დედის ტკბილი ძუძუ, შვილის ნუკრის სულის ტანჯვას აქ აუწვია მათთვის გული, და მის მიდამოებში გათხრილან საფლავები, რომლებიც სიკვდილით თრგუნავდნენ ცელად ალმართულ შავი სიკვდილის შავს გამოლანდებას... და რამდენად ტკბილია ჩვენი ქვეყანა, იმდენად მტლად დავსდებივართ მას.

ერთ დღეს სოფელ ამერ-ხევის მრავალფეროვან ცას მწუხრის ზეწარი გადაეფარა. 1921 წლის თებერვლის ღამეს საბჭოთა რუსეთის წითელმა ლაშქარმა წალკოტად ქცეულ, ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტ საქართველოს სასიკვდილო ლოდი შემოუსალტა. საქართველო დამარცხდა მაშინ...

საბჭოთა ხელისუფლებამ ჟორდანიას მთავრობის მიწის რეფორმა გააუქმა, ყველა მიწების მეპატრონე სახელმწიფო გახდა და გლეხობა განზოგადოებულ მეურნეობაში შერეკა.

— ნეტავ არაგვის შემოვუშვებდი ჩემს მამულში, ოფლი დამიღვრია, წლებზე ფეხს ვიდგამდი და ისე ჩამიყრია ზვრები... ცოცხალი თავით არაგვის გავახარებ ჩემს ნაოფლარში, ზედვე დავაკვდები! ჰყვიროდა სოსება ტარიელაშვილი და მოპირული ცული ხელში მაგრად მოიმარჯვა.

— ენგრევ არ იქნება შვილო! შენს გახარებასა, აგვიკლებენ დაგენაცვლოს დედა... ჟორდანიას დრო ხომ არ გგონია შვილო! დაუყვავა მელომ.

— ცოცხალი თავით ჩემს მამულში არაგვის შემოუშვებ მეთქი... ვაზი შვილივით გამიზრდია, ჩემი ვენახის ძირში მოვკვდები და რაც არ ვიქნები, მაშინ რაც უნდათ ისა ჰქნან!

ხელობდა სოსება და ცული ჰაერში ატრიალებდა.

***

მრავალ-რიცხოვანი კომისია ჩამოსულიყო ტფილისიდან. ადგილობრივი სოფლის საბჭოს კლუბში, მუხრანბატონის ყოფილ ნასახლარში თავი მოეყარეს გლეხებს და ჩოჩქოლი იყო. სოფლის ხელმძღვანელს, სარქისა ნასიბაშვილს ქოქოლას აყრიდნენ კრებაზე ძალით მორეკილი დედაკაცები და მამაკაცები.

— ხალხნო! ენგრე არ იქნება, რაც მამა-პაპას უქნია ის არ გამოგვადგება ეხლა. ახალ ცხოვრებას მიჰყოლა უნდა, გაიგეთ?“ დასძახოდა სარქისა ნასიბაშვილი ხალხს სცენიდან.

— შენა შვილოსა რა იცი მამა-პაპის ყისმათი. მამაშენი შენმა უხეირობამა გადაიტანა სამუდამოდ!

დაიძახა ვილაცამ დარბაზიდან.

— ენგრევა, ენგრე, შენი კვნესა მე! ისმოდა ხმა და ჩოჩქოლი. ამ დროს დარბაზში კომისიის წევრები შემოვიდნენ, ეს კომისია კი არა, რაზმს მოაგაგონებდა ადამიანს. ზოგი მათგანი შაშხანით იყო შეიარაღებული. წითელსაფარი გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარებულ მაგიდას შემოუსხდნენ, სარქისამ თავმჯდომარის ადგილი დაიკავა, მაგიდასთან რომ ადგილი არ აღმოჩნდა საკმარისად, ეხლა გრძელი სკამები შემოიტანეს. სარქისა ნასიბაშვილმა კრება გახსნა და ტყავის ქურქიანს, პირტყელი ყვითელი ქამრით წელი რომ დაემშვენებია, სიტყვა მისცა.

— დაყონება არ იქნება აქანეი... ყოლიფერი უნდა გაერთიანდეს, სახნავ-სათესი, ბალჩა-ვენახი... ტყე და საძოვარი, გამწევი და გასაწევი ძალა, მსხვილფეხა და წვრილფეხა, ქათმები, კვერცხებიც კი სოციალიზმის კუთვნილებად უნდა იქცეს!

დაამთავრა სიტყვა ტყავის ქურქიანმა და თვითონ შემოსძახა „ვაშა“, მაგრამ არავინ აჰყოლია მას, გარდა კომკავშირლებისა, ყარამისაშვილს რომ მოეყვანა დარბაზში. ყარამისაშვილი სოფლის კომკავშირის უჯრედის მდივანი იყო, მასაც სამხედრო ხალათი ეცვა და ძაბრიან ქუდს, ვეებერთელა წითელი ვარსკვლავით რომ ჰქონდა დამშვენებული, მოუშორებლად ატარებდა.

— აი დედასა! ჩემს ნაფუძვრებშია სხვას შევუშვებ! დაიძახა სოსიებამ და დარბაზს თვალი შეავლო.

— მაითმინეთ, სიტყვა ყველას მოგეცემათ! დაიძახა სარქისამ.

ეხლა ესტატე წამოდგა და ხმა მაღლა შესძახა:

— სოსიება მართალია და მართალი. ჩემს ბაღ ვენახებს არავის დავანებებ ცოცხალი თავით, ენგრე არ არის ქრისტეფორე? გადასძახა ესტატემ მეზობელს.

— ენგრევა შენი კვნესამე! ისეთნაირი დაკოდილი ხმით გაეპასუხა ქრისტეფორე, თითქოს მთელი გული თან ამოაყოლაო.

— აგერ სტეფანე!

დაიძახა ვილაცამ და დარბაზში ვეებერთელა ბრგე ვაჟკაცი აღიმართა. უხმოდ გაიარა დარბაზი და კომისიის წინ წარსდგა:

— ათადან, ბაბადან კერძო საკუთრებაი ჰყოფილა... სოლომან ბრძენს რიგულად დაუწესებია და ვახტანგ მეფესაც თავისი დასტური დაუკრავს ზედა... რით გვემართლებით, რას გვემართლებით? რისთვის მოდენილხართ შვილოსა ქალაქიდანა. თუ სასიკეთოდ ხართ მოსულები, შაშხანები რად გინდათ, უნდა აგვიკლოთ? იყვირა სტეფანემ, და განაგრძო, — ჩვენი აღება ასე ადვილად არ იქნება არა, გაიგეთ? ვერ აგვიღებთ აი? გახელდა სტეფანე და კომბალს მაღლა იქნევდა. როგორც იქნა დააჩუმეს გახელებული და სკამზე დაუშვეს, დრო-გამოშვებით გულზე ხელს იბაგუნებდა და ვილაცას ემუქრებოდა. ეხლა სცენიდან წამოდგა ვილაც დედაკაცი, თმა ბიჭურად შეკრეჭილი და წარმოსთქვა:

— კოლექტივში გლეხებს მოგეცემათ შეღავათები მთავრობიდან. საკოლმეურნეო ყანებს გადახნავს წითელი ტრაქტორი, დამყარდება მტკიცე კავშირი სოფელსა და ქალაქს შორის, და ქვეყანა აყვავდება!

გლეხებმა თმა შეკრეჭილისა ვერაფერი გაიგეს, მხოლოდ სოსიება აზიარდა, წინ წამოდგა, თავი მოიფხანა, როგორც იცოდა ხოლმე და სიტყვა მოითხოვა.

— რძალო, შენი ნათქვამიდანა ისე გავიგე რომა კავშირი უნდა დამყარდესო სოფელსა და ქალაქს შორის. კავშირი ვილამ დაარღვია ხალხო? დასძახა სოსიებამ, — ვაჰ, დედასა ყორნისასა, კავშირი არ იყო მა რა ჯანაბა იყო წინედა, მთავრობას რომ გაუჭირდებოდა, ქუდზე კაცს დაიძახებდა და უმალ შესაკრებ ადგილზე გავჩნდებოდით და ქალაქს მივადგებოდით საშველად!

— მე მაგნაირ კავშირზე არ მოგახსენებთ! სთქვა თმაშეკრეჭილმა.

— მა რომელ კავშირზე!

არ ეშვება სოსიება. კომკავშირლებმა ქვა და გუნდა დააყარეს სოსიებას.

— შენ ეი, კლასიკური მტერი ხარ ახალი ცხოვრებისა!

შესძახა ყარამისაშვილმა და მოზვერივით დაუბრიალა თვალები სოსიებას და ცხადად იყო ყელში სწვდებოდა მას. სოსიება ჭირგამოვლილი გლეხი, მაგრამ გაჭირვებისას დასდგებოდა ხოლმე ხუმრობის გუნებაზე, გამკილავი იყო მეტად.

— რაო, რაო, მერმე რა რომა კლასი არ დამიმთავრებია, განა შენა მჯობიხარ? კლასი... კლასი თორემ შენი დაწერილი ქუჩუქ ყარამანიანებითა გაჩოტებილია ერთავად წიგნის თაროზეაი!

ეხლა ჩოჩქოლმა ერთი-ათად იმატა, კომკავშირლები ყვავებივით დასჩხაოდნენ სოსიებას, ეგიც მედგრად იგერიებდა მჩხავანებს. სარქისა ნასიბაშვილმა ზარის რაწკუნს უხშირა, ამით რომ არა გაუვიდა რა, ეხლა მუშტებით დაუწყო მაგიდას ბრაგუნი და უკანასკნელად ისეთნაირად უთავაზა მაგიდას მუშტი, რომ ოჩანფეხებზე შესკუპული სამელნე აზტა და მელნის

ნაპკურევში სახეზე შეესხნენ ცენტრიდან ჩამო-სულნი.

— ხალხნო, ყურადღება, გაგონება იყოს!

ჰყვიროდა სარქისა.

— მენა შვილოსა დავაჩუმებ ე ძაღლის ლეკ-ვები თორემა, თუ წავავლე ხელი რომელიმეს მა-თგანსა, ქვასავით გავსრესავ აი!

შესძახა სტეფანემ, ამდენხანს, რომ უჩუმრად იჯდა და ისეთნაირად დაუბრიალა თვალი ბრგე ვაჟკაცმა კომკავშირლებს, რომ შიშისაგან კე-დელს გაეკრნენ; ყირმიზისაშვილმა ხელით გაიწია სტეფანესკენ.

— გამოუშვით ე სალახვათ ძაღლი... ერთი კი არა, თუ გინდა ასი მოვიდეს მაგითანაი, არ მე-შინიან, აი!

სთქვა სტეფანემ და კომბალი აღმართა. ყირ-მიზისაშვილი უკან დაიწია. სტეფანე ისევ დაჯდა და ძირს გამოშვებით ამოიხვნეშებდა ხოლმე, ერთხანს იყუჩა, და ბოლოს ტყვიას ნაკრავივით წამოხტა, კომბალი მოიღერა.

— აი ვინ აგვიარია ცხოვრებაი, ამის სახელი დაიქცეს და!

დაიძახა სტეფანემ ხმა მაღლა და კედელზე და-კიდებულ ბელადის სურათს, ტფილისიდან ძლივ-ნად რომ ჩამოუტანა სოფელს თამამეკრეჭილმა. ისეთი სიმძლავრით დაუშინა კომბალი, რომ მისგან არაფერი დარჩენილა. ეხლა მართლაც გაჩაღდა „კლასთა" ომი.

— კულაკია, მაგის სისხლი დაიქცა! დაიძახა მოჯამაგირე ნიკამ, ღარიბთა კომიტეტში რომ მოესწრო ჩაწერა. კომკავშირლები დაირაზმნენ.

— აქეთ არ წამოიწიოთ თქვე რჯულ-ძაღლე-ბო თორემა, ჩემს კომბალს ცოცხალი ვერ გა-დაურჩებით! დაიძახა სტეფანემ და დაწინაურე-ბულ ყირმიზისაშვილს ერთი მაგრად დაავლო ხე-ლი, ჯერ ხომ მაღლა ასწია, შემდეგ კუნძივით იატაკზე დაანარცხა. სოსიება, ქრისტეფორე, ეს-ტატე და სხვა გლეხებიც დაირაზმნენ, სტეფანეს ამოუდგნენ გვერდში.

— აი შენ ბურჟუების დამქაშო, კულაკო! შესძახა სოსიების მოჯამაგირე ნიკამ.

— დამქაში და უქნარა შენა ხარ შვილოსა, თორემა მენა ჩემი ოფლითა მაქვს მოწყობილი ჩემი კარ-მიდამო, მამული და ჯალაბი!

„ტყვილია!

„ჩვენი სისხლის მსმელია!

„კულაკია, პირძაღლი!

ისმოდნენ ხმები და მუქარა.

— სოსიებავ, კულაკი ხარ ბურჟუა! დასჭყივლა სოსიების სცენიდან ალექსა მილდისოვმა და ზე-ზე წამოდგა გაუბედავად.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**მინდია ლაშაური.**

## ოთხთა კონფერენციის ცნობა

ამა წლის 22 მარტიდან 2 აპრილამდე პარიზ-ში შესდგა ბელორუსიის, საქართველოს, სომხე-თის და უკრაინის ეროვნულ ცენტრების დელე-გატთა კონფერენცია. 22 მარტს აღნიშნულ ერ-ოვნულ ცენტრების დელეგატები მიღებულ იქ-მნენ ადმირალ სტივენსის მიერ, რომელსაც გაასცნეს საერთო დებულებები ამერიკულ კომი-ტეტთან თანამშრომლობის საკითხზე.

ამ შეხვედრის შემდეგ, კონფერენციამ შეიმუ-შავა საერთო მემორანდუმი, რომელიც გადაე-ცა ბოლშევიზმისაგან განმათავისუფლებელ ამე-რიკულ კომიტეტს; მან დაამტკიცა აგრეთვე სა-ბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ერების განთავი-სუფლებისა და მათი სახელმწიფოებრივ დამოუ-კიდებლობის აღდგენის საერთო ბრძოლის გეგმა.

აღნიშნულ ეროვნულ ცენტრებმა თავიანთი მოქმედების შეთანხმებისათვის დაადგინეს სა-კონტაქტო კომისიის დაწესება.

**P. S.** ამ ცნობას ხელს აწერს აგრეთვე ჩრდი-ლო - კავკასიელთა დელეგაცია, რომელიც ტექნიკური დაბრკოლებების გამო, ვერ დაეს-წრო კონფერენციას.

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მოთავსებული იყო ცნობა ქართულ კომუნისტურ რიგების სა-სტიკი წმენდის და ურთი-ერთ რბევის შესახებ.

გაუქმებული და გაუბედურებული ცენტრა-ლური კომიტეტის შესახებ ახალი აცხადებენ: ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმ-ძღვანელობამ მივიღეთ მეტად რთული და მძიმე მემკვიდრეობა-ო და სხ. რა იყო ეს მემკვიდრე-ობა? ძველი ხელმძღვანელობა ვერ იჩენდა სა-თანადო სტალინურ სიფხიზლეს ეროვნული სუ-ლის აღმოფხვრაში. დატუსაღებულ იქნა მდივა-ნი ჩარკვიანი და ყველა მისი თანამშრომლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ადგილი დაიკავა ვიღაც მგელაძემ, რომელმაც სტალინური ხმალი მარდად დაატრიალა. მაგრამ სტალინი მოკვდა და მისი მიმდევრობა მიუტევებელ დანაშაულად გამოცხადდა. მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდებიან, ანუ, უკეთ, მირბიან, რომ იძულებული ვართ წმინდის ავტორითა წმინდა გამოვაცხადოთ. მგელაძემ და მისი პოლიციის მინისტრმა რუხაძემ, ეტყობა, სწორად ვერ შეაფასეს მდგომარეობა, ვერ გაითვალისწინეს ბელადის განშორების შედეგები. მათი მოღვაწეობა გამოდგა უდღეური და მავნებლების რიგებში აღმოჩნდენ. მოხდა ადგილების ხელ-ახალი გაცვლა-გამოცვლა. მათ დაიჭირეს რამოდენიმე კვირის წინ გადაყენებულთა ადგილი ციხეებში, ხოლო ეს უკანასკნელნი დაუბრუნდნენ თავიანთ სავარძლებს. განთავისუფლებულია ყველა გარდა ჩარკვიანისა, რომელმაც, სჩანს, ახალ დიქტატორთა ნდობა ჯერ ვერ დაიმსახურა. როგორც ვხედავთ, კომუნისტურ იერარქიაში საშუალო ზომა არ არსებობს: გადაყენებული მინისტრები და გამინისტრებული არარაობანი ერთმანეთს ელვის სისწრაფით ენაცვლებიან. გზა მშვიდობისა ამ მიმართულებით! ერთმანეთის განადგურებით, უთაოდ დარჩენილი კომუნისტები ამზადებენ მათი დამპალი რეჟიმის დამპალ საფუძვლების მოშლას, რასაც ბუნებრივად უნდა მოჰყვეს დღევანდელ მინისტრთა და გადაყენებულთა ხალხური სამართლის წინაშე მორიგება.. ეს მორიგება იქნება საბოლოო და გარდაუვალი. აი რას იგებს ქართველი ხალხი ამ კომიკურ გათამაშებაში.

---

ახლად შედგენილ საქართველოს საბჭოთა მთავრობაში საშინაო საქმეთა მინისტრის თანამდებობა უკავია ვლადიმირ დეკანოზიშვილს. უცხოეთში მას დეკანოზოვად იცნობენ. ვლ. დეკანოზიშვილი მეორე მსოფლიო ომის წინ საბჭოთა ელჩად იყო ბერლინში. მოსკოვში დაბრუნებისას ის გახდა საბჭოთა კავშირის საგარეო მინისტრის ერთ-ერთი მოადგილეთ. უკანასკნელ ხანებში კი მისი ბედი, როგორც ბერიასთან დაახლოვებულ ყველა თანამშრომლების, ბეწვზე ეკიდა. საქართველოს საბჭოთა მთავრობაში მის შეყვანას და ისიც საშინაო საქმეთა მინისტრად, დასავლეთის ავტორიტეტული წრეები აფასებენ ორნაირად: პირველ რიგში, ესაა თვით ბერიას გამარჯვება, რომელიც მეტოდურად საპასუხისმგებლო პოსტებზე თავისიანებს აყენებს, მეორეს მხრივ კი, უცხოელთა აზრით, ბერია საჭიროდ ცნობს იმ მხარეში, სადაც ამჟამად სეპარატიზმი აშკარაა და მოსკოვისათვის სახიფათო ფორმა მიიღო, — დანიშნოს მისთვის სანდო და გამოცდილი ჩეკისტი, როგორიც დეკანოზიშვილია.

---

## საქართველოს ამბები პარიზის პრესაში

პირველად 18 აპრილს პარიზელ ცნობილმა გაზეთმა „ფიგარო"-მ თავის პირველ გვერდზე მოათავსა შემდეგი დეპეშა ლონდონიდან: **„საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა დატუსაღება".**

ტფილისის რადიო იტყობინება, რომ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის სამი პირი დატუსაღებულნი იქნნენ იმისათვის, რომ მათ ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი შეარყიეს ყალბი ცნობების გავრცელებით ქართველ ხალხში ეროვნულ მოძრაობის გაძლიერების შესახებ. დატუსაღებულნი არიან სახელმწიფოს თავდაცვის (ყოფ. „გ. პ. უ.") მინისტრი რუხაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორი ყოფილი ღენერალური მდივანი. იმავე დროს ტფილისის რადიო იძლევა საბჭოთა საქართველოს სრულიად განახლებულ მთავრობის წევრთა სიას". ეს ცნობა მოთავსებულ იქმნა შაბათს 18 აპრილს „ფიგარო"-ში, 20 აპრილს, ორშაბათს კი, პარიზის დილის და საღამოს ყველა გაზეთში უფრო ვრცელი დეპეშები იყო ამ ამბების შესახებ. ამ საქართველოს ამბებმა რომ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, ეს სჩანს პარიზის ერთ-ერთ გაზეთის ვაშინგტონელ კორესპონდენტის დეპეშიდან, რომელიც მდგომარეობას ასე ახასიათებს: „იმ დროს, როდესაც შეერთებულ შტატების ახალი ელჩი, ბ. ბოჰელენი რწმუნების ბარათებს აბარებდა კრემლში ვოროშილოვს, ვაშინგტონის დიპლომატიური წრეები მეტად დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოს საბჭოთა მთავრობის კრიზისით, სადაც ტუსაღებს ციხიდან ანთავისუფლებენ იმისათვის, რომ მინისტრებად დანიშნონ".

20 აპრილს „ფიგარო" საქართველოს ამბებს უძღვნის მოწინავე წერილს, რომელიც ეკუთვნის საბჭოთა და კომუნისტების საქმეების მცოდნეს ბორის სუვარინს, ერთდროს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ყოფილი ღენერალური მდივანი და კომინტერნის ხელმძღვანელი. „...საბჭოთა რადიო გასულ პარასკევს, სწერს

სუვარინი, იძლეოდა ცნობას ტფილისში ჩატარებულ პოლიციურ ოპერაციების შესახებ, რომლებიც თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება მოსკოვში ექიმთა დატუსაღების და განთავისუფლების ამბავს. დიდი თანამდებობის პირნი ცენიდან გამოდიან. მათზე არა ნაკლებ ხარისხის პირნი შიგ შედიან. „გაწმენდილი-გამწმენდელები“ საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი პერსონაჟებია: სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრი რუხაძე და კომუნისტური პარტიის ორი ყოფილი გენერალური მდივანი ჩარკვიანი და მგელაძე. მათი გვარები უცნობლებს ბევრს არაფერს ეუბნება, მაგრამ ადგილობრივ ამ პირთ ისეთი მნიშვნელობა ჰქონდათ, როგორც მოსკოვში სტალინს, მალენკოვს და ბერიას. ამათი მსხვერპლნი, ეხლა რომ ცენიდან გამოყავთ, ეკუთვნიან ქართულ პოლიტიკურ „აპარატის“ მაღალ სფეროებს, რომლებიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ინიშნებოდენ თვით სტალინის მიერ. ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებულ ყურადღებით ადევნებდა თვალყურს თავის სამშობლოს ამბებს და ახლო იცნობდა იქაურ კომუნისტურ პერსონალს. მისი მოწონების ან დასტურის გარეშე აქ არაფერი არ კეთდებოდა.

გასული წლის „წმენდა“, რომელსაც დღეს ხელისუფლება დაუშვებელ უსამართლობით ნათლავს, სტალინის მიერ იყო ნაკარნახევი. ერთხელ კიდევ თავისიანებმა, ქართველებმა, სტალინი უკუაგდეს, გააწბილეს ისეთი ფორმით, რომ ეხლა არა მარტო სტალინი, თვით მისი პოლიციის და სასამართლოს სისტემაა გაბახებული. საბჭოთა რადიო გაიძახის, „რომ დაჭერილი მინისტრი „ავანტიურისტი“ იყო და კომუნისტური პარტიის ყოფილ ორ მდივანმა ვერ გამოიჩინეს ელემენტარული წინ-დახედულობა; პროვოკატორ მინისტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტები კრიტიკულად ვერ განიხილეს და ამის ნაცვლად უკანასკნელის მოქმედება დაზვარეს“. ამ რიგად, დასძენს სუვარინი, — კავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესპუბლიკა, სტალინის სამშობლო, — საქვეყნოდ, მსოფლიო საზოგადოებრივ აზრის წინაშე, თავის გუშინდელ მეთაურებს აცხადებს პროვოკატორებად, ჯალათებად, ყალბ საბუთების მკეთებლად და საზიზღარ ავანტიურისტებად“.

## რკინის ფარდას იქით

**კვირეულ „დანუბ-პრესის“** გადმოცემით, საბუროვის საბჭოთა მთავრობაში შეყვანას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. მართალია, მას ჩაბარეს ტეხნიკური უწყება, მაგრამ სინამდვილეში დიდი პოლიტიკურ მნიშვნელობის დავალებები დააკისრეს. საბუროვი მუსულმანია და დიდი ხანი არ არის ის მეთაურობდა კომუნისტურ პარტიას აზერბეიჯანში. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ მოსკოვში ცენტრალურ კომიტეტში გარდა ირანელ სექციის ხელმძღვანელობისა, მას დაევალა არაბულ ქვეყნების საბჭოთა კავშირთან დაახლოვების პოლიტიკის წარმოება.

---

### სომეხთა საერთაშორისო ასოციაცია

იმავე გაზეთის ცნობით, კომუნისტურ პარტიამ დაავალა საბჭოთა მთავრობის წევრს, მიკოიანს სომეხთა საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა. კომინფორმის საშუალებით საზღვარგარეთ არსებულ სომხურ სათვისტომოებმა ბრძანება მიიღეს მიემხრონ ამ ასოციაციას. ამ ორგანიზაციის ამოცანაა პირველ რიგში საბჭოთა სომხეთისაკენ ემიგრაციის დაბრუნება. შემდეგში კი ასოციაცია მიზნად ისახავს პროპაგანდის გაწევას აზიის და აფრიკის თავისუფალ ქვეყნებში მობინადრე სომხებს შორის.

---

### საბჭოთა კავშირის მუშის ცხოვრების სტანდინგი

საბჭოთა მუშის ცხოვრების სტანდინგის ერთი ნიმუში. საბჭოთა კავშირში მუშის საშუალო, თვიური ხელფასის შეადგენს 460 მანეთს. კილო პური ღირს 4,41 მანეთი; ე. ი. მუშას თავის თვიურ ჯამაგირით შეუძლია 100 კილოს პურის ყიდვა. საფრანგეთში მუშის თვიური საშუალო ხელფას შეადგენს 25 ათასი ფრანკი. კილო პური ღირს კი 50 ფრანკი. ამრიგად ფრანგ მუშას თვეში შეუძლია 500 კილო პურის ყიდვა. ე. ი. ხუთჯერ მეტი ვიდრე მის საბჭოელ ამხანაგს, თუმცა ეს უკანასკნელი რამდენიმე ათეული წელია ეგრეწოდებულ „სოციალისტურ“ რეჟიმის ქვეშ ცხოვრობს.

---

### კომუნიზმი და ისლამი

უკანასკნელ კონფერენციაზე ბაქოში, სადაც დიდი ხანია ბინადრობს კომუნისტური ცენტრი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ხელმძღვანელობს ბოლშევიკურ პროპაგანდას მუსლიმანურ ქვეყნებში, — განსაკუთრებულ ყურადღებით შესწავლილი იქნა რელიგიურ მოძრაობის საკითხი ოსმალეთში. მართალია, უკანასკნელ წლებში ფანატიკური აგიტატორების გავლენით ოსმალეთის ჩამორჩენილ ხალხური მასებმა თავი წამოყვეს და ამ მოძრაობას პოლიტიკური ხასიათი მისცეს. ეხლა ისინი მოითხოვენ რესპუბლიკანური კანონების ნაცვლად კორანის აღდგენას. ოსმალეთის ორი მთავარი პოლიტიკური პარტია ენერგიულად ებრძვის ამ ახალ ტენდენციას. და სწორედ კომუნისტები ცდილობენ ეს რელიგიური ფანატიზმი გამოიყენონ ოსმალეთის დასასუსტებლად. ამ კონფერენციაზე არაბელ დელეგატებმა დავალება მიიღეს, დაუკავშირდენ ოსმალეთის რელიგიური მოძრაობის მეთაურებს. ავტორიტეტულ წრეებში დარწმუნებული არიან იმაში, რომ „საბჭოთა კავშირის მუსულმანების“ წარმომადგენლებსა და ოსმალეთის დელეგატს შორის შეხვედრას ადგილი ჰქონდა ცნობილ სექტის „მუსულმან ძმების“ საშუალებით. („დანუბ-პრეს“).

---

### მოსკოვის რეპრესიები ბალტიის ქვეყნებში

ლეონარდ ვაჰტერმა, თავისუფალ ესტონიის კომიტეტის თავმჯდომარემ, ვ. ზიდზიკაუსკასმა, თავისუფალ ლატვიის კომიტეტის თავმჯდომარემ და ვილის მასენსმა, თავისუფალი ლატვიის კომიტეტის თავმჯდომარემ გააკეთეს ამ დღეებში საერთო დეკლარაცია, რომლითაც ისინი აცხადებენ, რომ მოსკოვის ბრძანებით ადგილობრივი პოლიცია, აქ ამ ქვეყნების მოსახლეობას ატუსაღებს და ციმბირში ასახლებს.

. . . . . . . . . . . . . . . . .

## მოკავშირების თავდაცვა ევროპაში

ო. ტ. ა. ნ-ის (ატლანტიკის პაქტი) წევრებმა (14 ქვეყანა) მოსალოდნელ კომუნისტური აგრესიისაგან თავდაცვისათვის უკანასკნელ წლებში დახარჯეს:

| | ციფრები მილიონებში და ფრანგულ ფრანკებში |
|---|---|
| 1949 - 50 | 6.514.914 |
| 1950 - 51 | 10.210.123 |
| 1951 - 52 | 19.097.643 |
| 1952 - 53 | 22.212.827 |
| სულ ... | **58.041.507** |

ამ ხნის განმავლობაში მოკავშირების ძალები 2.450.00 კაცისაგან გაიზარდა 3.300.000-მდე და ო. ტ. ა. ნ-ს ამ ჟამად გააჩნია 4.000 მოდერნული თვით მფრინავი. მართალია ეს ციფრები შორსაა საბჭოთა ციფრებისაგან ამავე დარგში, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ ჩააფიქროს აგრესორი.

. . . . . . . . . . . . . . . . .

## სათვისტომოს წლიური კრება

ამა წლის 22 მარტს, პარიზში მოწვეულ იქნა ქართული სათვისტომოს საზოგადო კრება. დღის წეს-რიგში იყო — გამგეობის მოხსენება გაწეულ მუშაობის შესახებ და ახალი თავმჯდომარის და გამგეობის არჩევნები.

უნდა აღინიშნოს, რომ გამგეობამ და მისმა თავმჯდომარემ მიიღეს წინასწარი ზომები სათვისტომოს შემადგენელ ჯგუფთა შორის შეთანხმების მისაღწევად ახალი შემადგენლობის შერჩევაში. სამწუხაროთ, მათი ცდები დამთავრდა უშედეგოთ. ჩვენი საქმის სიძლიერე აზრთა სხვა და სხვაობაშიც არის, მაგრამ დუხჭირ ემიგრანტულმა ცხოვრებამ ზოგი საზღვარი მოშალა. ჯგუფები ერთმანეთს დაუპირისპირა.

კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ-ნი ზ. კერესელიძე, მდივნებად ბ.ბ. ვ. ლაბაძე და გ. მოდებაძე. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა სათვისტომოს თავმჯდომარე ბ. შ. აბდუშელიშვილი. მან ხაზი გაუსვა გამგეობის წევრთა ლოიალურ და კოლეგიალურ ურთი-ერთობას, რამაც გახადა შესაძლებელი ნაყოფიერი მუშაობის წარმოება. მოწყობილ იქნა ქართული დღესასწაულები—შობის ხე, 26 მაისი; საქველმოქმედო საღამოები და სადილები. ჩატარებულ იქნა მოხსენებები სხვა და სხვა თემებზე. დამთავრდა ქართველ მოხუცთა თავშესაფარის ორგანიზაცია სოფელ აბონდანში (პარიზიდან 70 კილომეტრი), სადაც დღეს მოთავსებულია 30 ქართველი მოქალაქე, სამაგალითო პირობებში; დაარსებულია ქართველ ახალგაზრდა სტუდენტთა კავშირი. 16 ნოემბერს 1953 წელს, პირველად ემიგრაციის ცხოვრებაში, გაიმართა კავკასიური საღამო, ოთხ, კავკასიელ ერთა მონაწილეობით, რომლის შედეგმა ყოველგვარ ოპტიმისტურ მოლოდინს გადააჭარბა, როგორც არტისტული ისე პოლიტიკური მნიშვნელობით.

იუნესკოს მფარველობით, მის შენობაში, 22 იანვარს, გაიმართა ქართული საღამო ცეკვებით და სიმღერებით, უცხო საზოგადოებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც აღფრთოვანებით შეხვდა ქართულ ფოლკლორის დემონსტრაციას. შედეგად, მომღერალთა გუნდი მიწვეულ იქნა რადიო-გადაცემაზე, ხოლო 27 თებერვალს ჩვენი ცეკვები და სიმღერები ავსებდენ უნესკოს ინიციატივით მოწყობილ საქველმოქმედო საღამოს პროგრამას. ასეთი იყო გამგეობის მუშაობა კულტურულ და საპროპაგანდო დარგში. თავისი განსაზღვრული საშუალებებით გამგეობა შეეცადა ჩვენ თანამემამულეთა ნივთიერი დახმარების საქმე მოეგვარებინა და მისი ცდა ამ მიმართულებით ერთხელაც არ შეჩერებულა. სამწუხაროთ, სათვისტომოს შემოსავალი საქველმოქმედო საღამოების შემოსავლით და შემოწირულებებით განისაზღვრება. თავის მხრივ, საზოგადოების წევრები იჩენენ გულგრილობას საწევრო გადასახადის შემოტანაში. მომავალმა გამგეობამ ეს კითხვა უნდა მოაგვაროს.

ცხადია, გასაკეთებელი ბევრია; ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოვალეობაა დარჩეს ერის ღირსეული ნაწილი. ამას ის შესძლებს თუ ერთი ეროვნული სულისკვეთებით განაგრძობს თავის მოვლა-პატრონობას. მოხსენების დასასრულს კრება ფარავს მხურვალე ტაშით.

სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენებით გამოდის ბ. პრ. ინწკირველი. მოხსენებიდან ირკვევა, რომ გამგეობის სალაროში სხვა და სხვა წყაროებიდან შემოსული და დატრიალებული თანხა აღემატება 700.000 ფრანკს, რაც რეკორდათ უნდა ჩაითვალოს. ამ თანხაში საწევრო გადასახადი შედის უმნიშვნელო რაოდენობით (40.000 ფრ.), დანარჩენი ნაწილი გამგეობას შეუძენია თავისი ენერგიული შრომით — საღამოების და სხვა და სხვა შეხვედრების მოწყობით — და სავსებით მოუნდომებია საზოგადოების სოციალურ და კულტურულ საქმეებისათვის. სამწუხაროთ, მოუგვარებელია საწევრო გადასახადის აკრეფა. საზოგადოებაში ითვლება 350 წევრი. საწევრო გადასახადი უნდა აღწევდეს წლიურად 200.000 ფრანკს, რაც საშუალებას მისცემს გამგეობას მუშაობა უფრო ნაყოფიერად წარმართოს. ამ მდგომარეობის გამოსწორება გამოკიდებულია ასოციაციის წევრებზე. სარევიზიო კომისიის სახელით, მომხსენებელი მოუწოდებს კრებას მადლობა გამოუცხადოს გამგეობას ნაყოფიერი მუშაობისათვის.

სიტყვით გამოვიდა ბ-ნი სიმონ ჩიქვილაძე, აბონდანის მოხუცთა თავშესაფარიდან. თავისი დინჯი, კეთილშობილური ქართულობით მან საზოგადოებას მოაგონა, რომ ქართულ ძალთა მთლიანობა მტრის წინააღმდეგ ქმნიდა საქართველოს ისტორიულ სიდიადეს. მთლიანობა ის განძია, რომელიც ჩვენ ერმა ჩაგვაბარა. მტერი ძლიერია, მაგრამ ის დღესაც, როგორც წარსულში მიაკვდება ერის მთლიან კედელს. ნუ დაივიწყებთ მიჯაჭულ სამშობლოს. ერთად ვერაგი მტრის წინააღმდეგ. ორატორის მჭერმეტყველურმა სიტყვამ საერთო თანაგრძნობა და მხურვალე ტაში გამოიწვია.

მოხსენების გარშემო გამართულ ბაასის დასასრულ კრება მადლობას უცხადებს თავმჯდომარეს და მის გამგეობას უანგარო და ენერგიული მუშაობისათვის.

გამგეობაში არჩეული არიან: თავმჯდომარე ბ-ნი შ. აბდუშელიშვილი; წევრები: ქ-ნი ი. ბაგრატიონი, ბ.ბ. ლ. ფაღავა, თ. ანთაძე, აკ. გამსახურდია, აკ. ასათიანი, შ. სტურუა. სარევიზიო კომისიაში ბ.ბ. პრ. ინწკირველი, ის. ქარსელაძე, კ. ინასარიძე.

სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ერთმა ნაწილმა უარი განაცხადა ხელმძღვანელ ორგანოში მონაწილეობაზე, იმედია, ეს გარემოება არ შეაფერხებს გამგეობის მუშაობას და მიუხედავად ყოველგვარი გაუგებრობისა, იგი მთელი სათვისტომოს ნდობით და დახმარებით შესძლებს მასზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას.

ვინ.

## ე დ გ ა რ მ ი ლ ო

ამა წლის 13 აპრილს, ქართველი ერის დაუღალავ მეგობარს და მოამაგეს პროფ. **ედ. მილოს** შეუსრულდა 80 წელი. ამ შემთხვევის გამო, მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს: საქ. ეროვნულმა მთავრობამ, ქართულმა ეროვნულმა საბჭომ, პარიზის სათვისტომოს გამგეობამ, სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ და პარიზის კომიტეტმა.

რედაქცია, თავის მხრივ, უსურვებს მას დღეგრძელ სიცოცხლეს საკაცობრიო იდეების სამსახურში და არწმუნებს, რომ ქართველ ერმა იცის თავის გულწრფელ მეგობართა ამაგის ღირსეული დაფასება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი წიგნი ინგლისურ ენაზე

გამოვიდა ინგლისურ ენაზე ბ. კ. კანდელაკის წიგნი «The Georgian question before the free world» (საქართველოს საკითხი თავისუფალ მსოფლიოს წინაშე).

ავტორი მისთვის ჩვეულებრივი მეთოდებით აშუქებს საქართველოს პრობლემის მდგომარეობას უცხოეთში, თავისუფალი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის, პრესის და საერთაშორისო უფლების მეცნიერთა შეხედულებებს მასზე და განიხილავს პარლამენტებისა და მთავრობების აზრსა და დადგენილებებს საქართველოს საკითხთან დაკავშირებით.

წიგნი შესდგება შემდეგი თავებისაგან:

თავი I. საქართველოს პრობლემის ისტორიული მიმოხილვა;

თავი II. საქართველოს დაპყრობა საბჭოთა ჯარების მიერ და უცხოეთის საზოგადოებრივი აზრის გამოხმაურება.

თავი III. საქართველოს საკითხი უცხო სახელმწიფოთა წინაშე.

თავი IV. ერთა ლიგა და საქართველოს საკითხი.

თავი V. 1939 - 1945 წ. ომი და ქართველები ემიგრაციაში.

თავი VI. საქართველოს საკითხი დღევანდელ ვითარებაში.

დამატებანი: 1783 წლის ტრაქტატი. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. საქართველოს ცნობა რუსეთის მიერ და 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება. ცნობა მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მიერ. საქართველოს კონსტიტუცია და სხვა.

ბ. კ. კანდელაკის შრომა იძლევა ნათელ სურათს საქართველოს პრობლემის განვითარებისა და დამუშავების უცხოეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის წინაშე და დოკუმენტალურად ნათელყოფს დღევანდლამდე გაწეულ მუშაობის ნაყოფიერებას ამ მიმართულებით. დღევანდელ პირობებში ამ შრომის მნიშვნელობა ცხადია მისი დროულობითაც. წიგნი გამოცემულია კარგ ქაღალდზე და შეიცავს 218 გვერდს.

## წერილი რედაქციის მიმართ

### სიმართლის აღსადგენად *)

პატივცემულო ბ. რედაქტორო, გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ჩვენს ქვემორე განცხადებას.

ჟურნალ „მებრძოლ საქართველო"-ს მე-10-ე ნომერში ბ. გობეჩიამ მოათავსა განცხადება ქართული ეროვნული კომიტეტის შესახებ, სადაც საზოგადოებას აცნობს მის უკანასკნელ მდგომარეობას. საზოგადოება რომ შეცდომაში არ იყოს შეყვანილი, საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე ჟურნალის საშუალებით ვაცნობოთ მას სიმართლე.

ბ. გობეჩიამ კომიტეტის დამაარსებელთა სია ყალბად წარმოადგინა. მაგ. ის ასახელებს განსვენებულ სპ. კედიას, რომელიც არც როგორც დამაარსებელი და არც როგორც უბრალო წევრი არასოდეს ყოფილა კომიტეტში. ამის შემოწმება ადვილია, რადგან ყოველი დამაარსებელი გატარებულია პრეფექტურის მიერ რეგისტრაციაში. და პარიზშიც ამ ფაქტს არც ერთი ქართველი იცნობს. სამაგიეროდ ბ. გობეჩიამ გამოსტოვა კომიტეტის ორი დამაარსებელთაგანი: ბ.ბ. ი. ჯაბადარი და ვ. დავარიშაშვილი. თუ არა ბ. ჯაბადარის მზრუნველობა, ეს კომიტეტი არ იქნებოდა დამტკიცებული საფრანგეთის მთავრობის მიერ.

ბ. ლამბაშიძის სიცოცხლის უკანასკნელ დროს ე. ი. ამ ორი წლის წინ კომიტეტის შემადგენლობა იყო ასეთი: ბიუროს წევრები: ბ.ბ. ლამბაშიძე, აპ. კობახიძე. ი. გობეჩია, ნ. გულაშვილი; წევრებად: ბ.ბ. ი. ჯაბადარი, ა. მანველიშვილი და დ. დავარიშაშვილი. მხოლოდ ბ. ლამბაშიძის გარდაცვალების შემდეგ დაემატენ მას ბ.ბ. დ. მაჭავარიანი და გ. კალანდარი.

კომიტეტის თავმჯდომარის ბ. ვ. ლამბაშიძის გარდაცვალების შემდეგ, კომიტეტის თავმჯდომარეობა ვსთხოვეთ ბ. ალ. მანველიშვილს, რომელმაც უარი განაცხადა. რადგან საჩქარო იყო პრეფექტურაში კანდიდატის წარდგენა, დროებით დავასახელეთ ბ. გობეჩია. ცოტა გვიან გან-

---

*) ინფორმაციის სისრულისა და მიუდგომლობისათვის ვაქვეყნებთ ბ. გულაშვილის წერილს.

რედ.

ხსენებულმა აპ. კობახიძემ დასვა კიდევ ახალი თავმჯდომარის არჩევის საკითხი და ის განმეორდა მის შემდეგაც. როცა ბ. გობეჩიამ გაიგო, რომ კომიტეტის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო მისი თავმჯდომარედ დატოვების, ის პირველივე კრებიდან გაიქცა დემონსტრატიულად. შემდეგ დღესვე ნ. კალანდარის დემისია გააკეთებინა, ასევე მიუხტა ბ. მაჭავარიანს და მასაც დემისიის წერილი გამოართვა და ჩვენს მიერ კრებაზედ მოწვევის გამო გვიპასუხა რომ კომიტეტში საკმარისი წევრები აღარ დარჩენ, რომ კომიტეტმა არსებობსო. მიუხედავად ამისა, მე როგორც მდივანმა კიდევ მოვიწვიე კრება და ბ. გობეჩია ახლაც არ გამოცხადდა. მაშინ დარჩენილმა ოთხმა წევრმა ერთხმად დაადგინა მისი კომიტეტიდან გამორიცხვა. ბ. გობეჩიამ ეს უკანონოდ გამოაცხადა, რადგან აღნიშნული ოთხი წევრიდან ორი არ შედიოდენ ბიუროს შემადგენლობაში, მაგრამ მათაც ისეთივე უფლებები აქვთ როგორც სხვებს. რომ ბ. გობეჩიას დაუჯეროთ და მათ ეს უფლებები ჩამოვართვათ, მაინც რჩება კიდევ ორი წევრი ბ. გობეჩიას კვალიფიკაციით კანონიერი, ხოლო მესამე თვითონ გობეჩია და მას ის ელემენტარული არითმეტიკაც დაავიწყდა, რომ სამში ორი უმრავლესობას წარმოადგენს და თანახმად კომიტეტის წესდებისა მათი მოქმედება კანონიერია. ამიტომაც როგორც კი ჩვენი დადგენილების პირი პრეფექტურას ეცნობა ის მყისვე იყო დამტკიცებული; ხოლო ბ. გობეჩიას „პროტესტი" უყურადღებოდ დატოვებული.

პატივისცემით **ნ. გულაშვილი.**

### საყურადღებოთ

„ჩვენი დროშა"-ს რედაქცია სთხოვს, ვისაც ჯერ კიდევ არ გამოუგზავნია ხსენებული ჟურნალის რედაქციაში შეკვეთა ნოე ჟორდანიას წიგნის **„ჩემი წარსული"**-ს შესახებ, მიმართონ პირდაპირ ქ-ნ ინა ჟორდანიას შემდეგი მისამართით: **Mme I. Jordania, 11, rue Solferino, Vanves (Seine) France.**

(წიგნი ღირს 500 ფრ., გადასაგზავნი ხარჯების დამატებით).

### ნოე ჟორდანიას სამოქალაქო პანაშვიდი

კვირას, 3 მაისს, „Rapp"-ის დარბაზში შესდგა სამგლოვიარო კრება ნოე ჟორდანიას გარდაცვალების გამო, რომლის ანგარიში მოთავსებული იქნება „მებ. საქართველოს"-ს შემდეგ ნომერში.

---

მთავრობის და ოჯახის სახელზე დაგვიანებით მიღებულია სამგლოვიარო დეპეშები პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას გარდაცვალების გამო:

რომიდან — ბ-ნ ბიძინა ბარათაშვილის; ნიციდან — ქ-ნ ტერეზა და ბ-ნ გიორგი ჭოლოშვილების; სიდნეიდან (ავსტრალია) — ბ.ბ. კორძაია და ავანასი.

---

### რედაქციისაგან

უადგილობის გამო გადაიდო შემდეგი ნომრისათვის: „ბელარუსია", „საბჭოთა ამნისტია", „კომუნისტური ნეიტრალიტეტი", „ნეკროლოგი აპ. კობახიძის".

---

### შეცდომის გასწორება

„მებ. საქ." წინა ნომერში მე-8 გვერდზე დეპეშების სათაურში გაგვეპარა შეცდომა. უნდა იყოს: **„გერმანიის პოლიტიკურ მოღვაწეთა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა დეპეშები"** და სხვა.

ჟურნალ **„მებრძოლი საქართველო"**-ს რედაქცია მოთავსებულია:

**9, Rue JOBBE DUVAL. — Paris 15.**

**Tél.: VAU. 25-14**

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს აღნიშნული მისამართით.

Directeur responsable: Nic. Ourouchadzé, 13, rue Edgar-Quinet Montrouge — Seine
Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.